საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი 29 სექტემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი დირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 300 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩით № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 220 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 220

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული დედ მამა ატატო და ლევანტი, ძმები: აკაკი და გიორგი, ბიძოლა-ბიძანები ანა და ნინო, ისიდორე და კონდრატი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს თავიანთ საყვარელ

კატო ლეონტის ასულის მეფარიშვილის

ტრაღიკულათ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება გურიაში სოფელ ნანეიშვილში 30 სექტემბერს. (3138 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: მამა დეკანოზი ანტონი და დედა მარიამ. ძმები იოსები და დავითი, დები მელანია, გაიანე და თამარი, რძლები მარიამი და ნინო დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 26 ენკენისთვეს ღამით. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ერედვში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ქ. გორის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელი

ნინო ანტონის ასული ლომოური

დაკრძალვის დღე გამოცხადდება ცალკე. (3141 1—1)

ღრმად დამწუხრებული მამა ქრისტესია ბერის ძე ნამგალაძე, ბიძები: ბესარიონ და სპირიდონ, ძმები: პოლისტე და გერონტი, და ეფრიჩკა. ბიძაშვილები: მინადორა, შალიკო და ლევან, მამიდა ეფროსინე ბესოს ასული ფარჯანაძისა, სიძე სარდიონ ბეჟანის ძე, თინათინა და ლიზა სარდიონის ასულნი ვაუწყებთ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 26 ენკენისთვეს ღამის 11 ს. ყაჩაღებისგან მოკლულის 22 წლას

ვლასიკოს

გარდაცვალებას. მიცვალებული ასვენია არამიანცის სახელობის საავადმყოფოში (ავლაბარში) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3139 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფი: მეუღლე სოსო, პაწია შვილი კოკო, დედა ნინო, ძმები: მათე. ლევარსი და ვარლამ მენაბდეები, დაი ლიუდმილა და სიძე აკაკი მიქაძეები; დედამთილი ლიზა, მამამთილი ივანე, მაზლები ალექსი, ვასილი და პეტრე აუწყებენ ნათესავ-მეგობარ-ამხანაგ-ნაცნობთ, რომ ტრაღიკულად დაღუპულ შემოქმედის უმაღლეს დაწყებით სკოლის მასწავლებლის

სარა მელიქიშვილის

სულის მოსახსენებლად წლის თავის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება 1 ოქტომბერს, პარასკევს, 10 საათზე ბიხვაურის ეკლესიაში. (ოზურგეთის მაზრა) (3142 1—1)

სახელმწიფო ოპერა

სეზონი 1920-21 წ.

დასის შემადგენლობა: (ანბანზედ)

ქალები:

სოპრანო:

ალეშკო მ. ი.
ბაიარსკისა ნ. ე.
ბურაგო ცეხანოვსკისა ვ. ვ.
ვალკონსკისა.
ვოლ-ლევიცკისა ა. ს.
ვიშემირსკაია-ცაგარელი მ. ა.
მანდენოვისა ს. გ.
მაზოვეცკისა ნ. გ.
მასტა ფ. გ.
კალანდაძე ო. ს.
რისი ო. ლ.
ოქროპირიძე.
სპრიშევსკაია დ.

მეცო-სოპრანო.

ერმოლინსკისა ა. ა.
პანინასი ნ. ი.
იანსა მ. ა.
შელუდკოვსკისა ნ. გ.
ცინკ ფ. ხ.
ოქსიანიკოვა ლ. ა.
ნეიმანი ბ. მ.
ზასლავსკაია ო. ფ.

კაცები:

ტენორები:

ზალიპსკი ბ. ი.
კურბატოვი ა. ე.
მოლჩანოვი ი. პ.
სარაჯიშვილი ი. პ.
კუმბურიძე.

ბარიტონები:

ბალაბანი ა. ა.
ვენაძე გ. ი.
დროზდო-პოლიაევი ფ. ნ.
ინაშვილი ა. ი.
თარხნიშვილი მ. ი.

ბანები:

დემიანენკო ა. ა.
ისეცკი ლ. ნ.
ამერლიშვილი ე. ი.
საბინინი იუ. დ.
ნიროვა ნ. ჰ.
ეზროვი ნ. ს.
ორლიუკი ს.
ქურხული გ. ა.

ბალეტი 12 წყვილი ბალეტმეისტერი ს. ფ. ვაკარეცის და პრიმა-ბალერინა ბ. უერზაკის მ. ე. ხელმძღვანელობით. რეჟისორები: ბელსკი ა. დ., ქლენტი ვ. ლ. და გურესი ა. ა. გუნდის ხელმძღვანელი სვიმონიშვილი ლ. ი. დირიჟორები: სტოლერმანი ს. ა., ჩერეპნინი ნ. ნ. და მიზანდარი. კონცერტმეისტერები: საბინგუს ე. დ., სოკოლოვისა ლ. ვ. გოლდმანი ლ. ია. ფალიაშვილი ქანნა. სუფლიორები: ნიკოლაევი ხ. ი. და სარაჯიშვილი ა. გ. გუნდი 50 კაცი. ორკესტრი 50 კაცი. მუსიკალურ ნაწილის გამგე ფოცხვერაშვილი კ. გ. სამხატვრო ნაწილის გამგეები: ზალცმანი ა. ა. და სიმოვი ვ. ა. ოპერის დირექტორი ხ. ი. ევლახიშვილი.

სეზონი გაიხსნება

ოთხშაბათს, 30 სექტემბერს სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალი დეკორაციით, ახალი ტანისამოსით და გაძლიერებული ხორით.

ორიგინალური ქართული ოპერა მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა

აბესალომ და ეთერი

დასდგამს ა. რ. წუწუნავა. დირიჟორობს ავტორი ზ. პ. ფალიაშვილი.

პარასკევს, 1 ოქტომბერს,

პიკის ქალი

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ჩაიკოვსკისა.
დირიჟორი სტოლერმანი.

შაბათს, 2 ოქტომბერს

რიგოლეტო

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.
დირიჟორი სტოლერმანი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 საათ. დღის 3 საათ. და საღამოს 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზედ.

სახელმწიფო თეატ. ადმინისტ.
(ნ. 1—1)

ბრძოლა ფინანსიურ კრიზისთან

ჩვენი ფინანსიური კრიზისის სრული მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი საამშენებლო მუშაობით, მრეწველობის შექმნით, სიმდიდრის დაგროვებით. ამისთვის მრავალი წლების მუშაობა დაგვჭირდება. მაგრამ კრიზისის შესანელებლათ, მისი შესამსუბუქებლათ პალიატიური, ნაწილობრივი ზომების მიღებაც აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს. ამისთანა დიდს და რთულს საქმეში საკმარისი არ არის მთავრობის ენერგია, ადმინისტრატიული ღონისძიებანი. კრიზისის განელებაზე მთელმა საზოგადოებამ, მთელმა ხალხმა უნდა მწყობრათ იმუშაოს. ამისთვის კი საჭიროა ნათლად წარმოდგენილი გვქონდეს ჩვენი კრიზისის არსება, მისი მთავარი მიზეზები.

სათანადო დაფასება დღევანდელი კრიზისისა, მისი მიზეზებს ზედმიწევნით გამორკვევა შეუძლებელია თვით კრიზისის პროცესში. რთულ სურათს ახლოდან ვერ გაერკვევი, მის დასანახათ საჭიროა ცოტა მაინც შორს გადგე და იქიდან შეხედო. მაგრამ ზოგიერთი მიზეზები ფინანსიური კრიზისისა დღესვე უდავო და ნათელია. ერთი ამ მიზეზთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ქვეყანა იძულებულია გარედან შემოიტანოს ბევრათ უფრო მეტი საქონელი, ვიდრე შიგნიდან გარეთ გააქვს. ეს წონასწორობის დარღვევა ექსპორტსა და იმპორტს (შემოტანილსა და გატანილ საქონელს) შორის გადაქცეულია ჩვენთვის მეტად საბედისწერო მოვლენის წყაროდ: ჩვენი ქვეყანა იძულებულია ქაღალდის ფულის, ბონების, საშუალებით იყიდოს ის, ზედმეტი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი საქონელი, რომელსაც გატანილი საქონლის საშუალებით ვერ ფარავს. ამის გამო უცხოელებს და, საერთოდ, საქონლის შემომტანების ხელში გროვდება ჩვენი ბონების დიდი რაოდენობა, უცხოელები ხდებიან ჩვენი სახელმწიფოს ქაღალდების ბატონ-პატრონნი და თავის სურვილისამებრ და სარგებლობისამებრ აწესებენ ჩვენი ბონების კურსს. ასეთი დიაგნოზი გაუკეთა ცნობილმა ეკონომისტმა ჰილფერდინგმა გერმანული მარკის დაცემას. ის, რაც სთქვა მან გერმანიის შესახებ, უცვლელად ეხება საქართველოსაც.

თუკი ჩვენი ფინანსიური უკუღმართობის ერთ ერთ მიზეზათ დასახელებულ გარემოებას ჩავთვლით, ჩვენი ეკონომიური გეგმის ერთი მოთხოვნაც გარკვეული ხდება: საჭიროა ვაწარმოოთ ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომ უცხოელები რაც შეიძლება ნაკლებ ბატონობდნენ ჩვენს ფულის ნიშნებს; ეს კი მოსახერხებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ რაც შეიძლება მეტათ შევამცირებთ უცხოეთიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობას და გავზრდით ჩვენი საკუთარი საქონლის გატანას. ეს რომ მოხერხდეს, მაშინ გარდა იმისა, რომ უცხოელებს ხელიდან გამოეცლებათ ბატონ-პატრონობა ჩვენს ბონებზე, იმავე დროს ჩვენი სახელმწიფოს ხელში შეგროვდება უცხოური ვალიუტა და ჩვენ თითონვე შევძლებთ დავამყაროთ ჩვენსა და უცხოურ ფულის ნიშნებს შორის ისეთი ფარდობა (ОТНОШЕНІЕ), როგორიც ჩვენთვის არის ხელსაყრელი.

მაშასადამე, რაც შეიძლება მეტათ **შემცირება უცხოეთიდან საქონლის შემოტანისა**—აი ერთი გარკვეული დებულება ჩვენი ეკონომიური პროგრამისა. იტყვიან, პროგრამის დებულებები ბევრი გვესმის, მხოლოდ მათ ასრულებას და განხორციელებას ვერ ვახერხებთო. ეს იქნება მართალიც იყოს. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ დასახელებული დებულების თანახმად მოწყობა ჩვენი ცხოვრებისა არც ისე ძნელია, თუ კი მთელი ჩვენი ხალხი, მთელი დემოკრატია და მმართველი წრეებიც ამ აზრს უდავოთ სცნობენ. ამ დებულების ცხოვრებაში გატარება მოითხოვს, რომ უცხოეთიდან მხოლოდ ისეთი საქონელი შემოდიოდეს ჩვენს ქვეყანაში, რაც აუცილებლათ საჭიროა მთელი ხალხისათვის და ურომლისოდაც ხალხი ვერ იცხოვრებს. ჩვენ გადაჭრით ვიტყვით, რომ დღემდის ეს ასე არ ხდებოდა. დღემდის უცხოეთიდან ჩვენში შემოდიოდა დიდძალი ისეთი საქონელი, რაც ხალხის პირველი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არ ემსახურება, რაც უფრო ფუფუნების საგანს წარმოადგენს.



კარლ კაუცკი

კარლ კაუცკის ჩამოსვლა

ბათუმიდან სასიხარულო ამბავი მოგვივიდა: საქართველოს სწვევია კიდევ ერთი ძვირფასი სტუმარი—კარლ კაუცკი. ვის არ აუტოკდება სიხარულით გული ამ სახელის გაგონებაზე? კ. მარქსის და ფ. ენგელსის საუკეთესო მოწაფე, მათი უდავო მემკვიდრე, საუკეთესო წარმომადგენელი მარქსისტული მოძღვრებისა, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, რომლის სიტყვასაც მუდამ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა თავსატეხ საკითხებში, აი ვინ არის კარლ კაუცკი. რუსეთის რევოლიუციამდის იგი ყველა სოციალისტური პარტიების თვალში უდიდეს ავტორიტეტით სარგებლობდა. საერთაშორისო ქარტეხილით გამოწვეულმა აზრთა არევ დარევამ კ. კაუცკის ჩამოაშორა ბევრი წინანდელი მიმდევრები. ჩვენს თვალში კი კ. კაუცკის ავტორიტეტი დღესაც ისევე მაღალია, როგორიც მუდამ იყო. ის გზა, რომელიც მან აირჩია ამ საერთო დაქსაქსულობის დროს, ჩვენ მიგვაჩნია ჭეშმარიტ მარქსისტულ გზათ, იმ გზათ, რომელსაც ყველაზე პირდაპირ მივყავართ სოციალიზმისაკენ. ეს ის გზაა, რომელიც თვით კ. კაუცკიმ გამოხატა სიტყვებით: „დემოკრატიზმის საშუალებით. სოციალიზმისაკენ". ჩვენც მას ვადგევართ, მაგრამ უეჭველია, დაკვირვებული თვალი ბევრს შეცდომას იპოვის ჩვენს მუშაობაში. ჩვენ გვინდა, რომ ეს შეცდომები გვიჩვენოს იმისთანა მეგობარმა და იმისთანა ავტორიტეტულმა კაცმა, როგორიც არის კარლ კაუცკი.

სალამი ძვირფას სტუმარს მთელი ჩვენი მუშათა კლასისაგან და მთელი ჩვენი დემოკრატიისაგან!

სპეკულიანტების იერიშები

„საქართველოს" ამინდი დაუდგა... შექმნილმა ეკონომიურმა კრიზისმა საშვალება მისცა ჯავრი იყაროს მომარაგების სამინისტროზე, მის ხელმძღვანელ მინისტრ ერაძეზე და მით მისი დამქირავებელი სპეკულიანტების გული მოიგოს და ერთგულება დაუმტკიცოს.

დიდი ხანია ჩვენი ვაჭრებ-სპეკულიანტები ათას ჯვარ ჭორებს ავრცელებენ ამ სამინისტროს შესახებ, არ ერიდებიან საშვალებას სამინისტროს სახელი გაუტეხონ, და რაც თავი და თავია, მინისტრი ერაძე როგორმე მოიშორონ. თუ დღემდის ასეთი აგიტაცია-ინსინუაცია კაფე-რესტორანების და სპეკულიანტების სალონების უმთავრესი სალაპარაკო საგანი იყო, დღეს ის ამათ პრესაში გადმოვიდა და „საქართველოც" წვრილზე ფეხს იდგამს, რომ ეს დავალება პირნათლათ აასრულოს და აი ისიც ბრძანების კილოთი აცხადებს: „ერაძე უნდა წავიდესო" („საქ." № 107).

ჩვენ ვიცით, რომ ერაძის წასვლა ჩვენ სპეკულიანტებში დიდ ზეიმს და სიხარულს გამოიწვევდა, და გაზეთი „საქართველო" სამადლობელს ადრეს და ერთგულებას ტელეგრამასაც მიიღებდა, მარა გაზეთმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიგოს, რომ მათი სპეკულიანტების სასიამოვნოთ ჩვენ თითსაც არ გავანძრევთ.

„საქართველოს" და მის სპეკულიანტებს ძალიან უნდათ სამინისტროს სათავეში ისეთი კაცი, რომელსაც ისინი ადვილათ გახვევენ თავის ბადეში და ასე თავის ბაჟაღლოებს ერთი ასად კიდევ გაამრავლებენ ამას დღეს ვეღარ ახერხებენ და აი სწორეთ აქედან წარმოსდგება მათი უზგავნო და უხეში თავდასხმა მინისტრის პიროვნებაზე. მართალია „საქართველოს" ქუჩურ ლანძღვაგინებაში ჩართულია აქა იქ უკუღმა ფრაზები მაღალ პოლიტიკაზე და ხალხის ინტერესებზე, მარა ვინ არ იცის, რომ ბურჟუაზია და მისი იდეოლოგია თავის ტლანქ მტაცებლურ-ინტერესებს მუდამ ალამაზებს, ფერად სამოსელში ხვევს, რომ მით მისი სიდუხჭირე დაფაროს, ზოგი გულუბრყვილო შეცდომაში შეიყვანოს და ასე მისი გაუმაძღარი ჯიბის საკეთხი ქვეყნის და ხალხის ინტერესებათ გაასაღოს. მარა, ნუ თუ დღემდის ვერ გაიგო „საქართველომ" და მისმა სპეკულიანტებმა, რომ ასეთი ლათაიებით ვეღარავის ვეღარ შეიყვანენ შეცდომაში!

მართალია, მომარაგების სამინისტროს აქვს დეფექტები, მარა დღევანდელ პირობებში „საქართველოს" დიპლომიანი და „ტვინიანი ვაჟკაცებიც" კი ვერ შესძლებენ უდეფექტოთ რამეს გაკეთებას; თუმცა ეს კიდევ არ ნიშნავს სამინისტროს დეფექტების გამართლებას. პირიქით, ჩვენ თვითონ უთითებთ სამინისტროს ამ დეფექტებზე და დარწმუნებულიცა ვართ შეძლებისა და გვარათ კიდევაც აცილებული იქნება თავიდან ყოველივე „ნებსითი თუ უნებლიეთი" შეცდომანი, და ეს მოხდება მიუხედავათ იმისა, რომ არც ანბ. ერაძეს, და არც იმ კლასს, რომლის წარმომადგენელი ისაა, არ მიუღია სწავლა განათლება და დიპლომი ბურჟუაზიის „სიბრძნის ტაძრში". რაზედაც ასე მედიდურობით ლაყბობს გაზეთი „საქართველო".

თუ რა ფასი აქვს ზოგიერთ დიპლომს, ეს შეუძლია გაიგოს „საქართველომ" იმ ფელეტონებიდან, რომელიც იბეჭდებოდა „ივერიაში."—სათაური: „დიპლომიანი მუტრუკი".

განი.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

იმერეთში

ბორჯომიდან დელეგაციამ დამის მატარებლით გაემგზავრა იმერეთისაკენ ბაკურიანის გზის შთაბეჭდილება მეტად ძლიერია. განსაკუთრებით ადგილობრივ გლეხებს მოულოდნელმა საგანგებო შეხვედრამ დელეგატებზე დიდი გავლენა იქონია. დაბრუნებისას გლეხებმა აანთეს კვარის კელაპტრები და გზა განათებულ კორიდორს წარმოადგენდა. ამ შთაბეჭდილებით განცვიფრებული ინგლისელი მუშა შოუ ამბობს: „ჩვენში სოციალისტებზე უთითებდენ ხელის საჩვენებლად, აქ კი მთელი ხალხი ჩირაღდნებით გვხვდება, ასეთი ქვეყანა მე პირველად ვნახეო". ამ სანახაობით დამთვრალი სტუმრები ასვენებს, რომ ხვალ ნახონ მუშათა მაღაროები,- გლეხთა სურათებიდან გადავიდნენ ნამდვილ პროლეტარების, მუშათა კლასის სამეფოში. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ საგანგებო მატარებელი ხარაგოულის ორგანიზაციამ შეაჩერა და სალამი უძღვნა ევროპიელ სტუმრებს.

შორაპანში.

სრულ 8 საათზე მატარებელი შორაპანში იყო, სადაც ყვირილის და შორაპნის მიდამოებიდან დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. სადგურთან აემართად ტრიბუნა, ხოლო ირგვლივ სადგური მოქარგული იყო ყვავილებით. ორთქმავლები მოძრავ ტოტებს წარმოადგენს, ხოლო ვაგონები წითელ დროშებით არის შეფერილი. დელეგაციას აქ დახვდა თფილისიდან საგანგებოთ ჩამოსულნი დამფუძ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე და შინაგანსაქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. სტუმრები დასხდნენ საგანგებოთ გამზადებულ ესტრადაზედ, მათ აცნობენ ხალხს, ხოლო შემდეგ მიტინგის თავმჯდომარე ვ. ბუჩიძე სიტყვას აძლევს შორაპნის მაზრის სოციალისტური პარტიების, გვარდიის შტაბის, დემოკრატიულ და ეროვნულ ორგანიზაციების და პროფ. კავშირთა წარმომადგენელს ს. მენაღარიშვილს, რომელმაც თავისი სიტყვა ასე დაათავა: „ძვირფასო სტუმრებო, როდესაც დაბრუნდებით ინგლისში, საფრანგეთში და ბელგიაში, გადაეცით ჩვენს უფროს ძმებს, ევროპის მუშათა კლასს, რომ აზიის ყურეში არსებობს პატარა საქართველო, რომლის დემოკრატია მედგარ ბრძოლას აწარმოებს სოციალიზმის იდეალებისათვის. გადაეცით, რომ საქართვ. დემოკრატია მზადაა თქვენს დაძახილზე გამოეხმაუროს თავისი პატარა, მაგრამ სულით ძლიერი რაზმით თქვენს განკარგულებაში სოციალიზმის საკეთილდღეოთ".

საპასუხო სიტყვას ამბობს ბელგიის მუშათა წარმომადგენელი **ამხ. ჰიუსმანსი.** ის ამბობს: „ჩვენ მოვედით შორიდან იმისთვის, რომ გავიგოთ ადგილობრივათ თქვენი ყოფა-ცხოვრება, პოლიტიკურ-ეკონომიური აღმშენებლობა, თუ რა გაქვთ თქვენ და რისი შექმნა შეგიძლიათ მომავალში. და ჩვენ გაკვირვებული ვართ თქვენი შრომით, განცვიფრებული ვართ, რომ მთელი ერი გაბედნიერებულია სოციალიზმით და ეს იმ ქვეყანაში, სადაც ინდუსტრიას არ აქვს ფეხი მოკიდებული და სასოფლო მეურნეობა შეადგენს უმთავრეს დარგს. ჩვენ დავიარეთ თქვენი ქვეყნის მშვენიერი ბუნება და სასიხარულოა როცა თქვენ მიყვებით ჩვენ გზას, როცა უარყოფთ ტერორისა და უმცირესობის უპირატესობაზე ბატონობის გზას. თუ ეკონომიურ მდგომარეობის მხრით საქართველომ უნდა ისწავლოს ჩვენგან, სამაგიეროთ პოლიტიკურ აღმშენებლობაში ჩვენ უნდა გადავიღოთ თქვენგან. ჩვენი ქვეყნები ერთივე დემოკრატიულია. ჩვენ დავიწყეთ ეკონომიურ ცხოვრების გარდაქმნიდან, თქვენ კი შეუდექით პოლიტიკურ ცხოვრების განახლებიდან და ასე ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ერთი მიზნისაკენ. ჩვენი ქვეყანა მოფენილია ქარხნებით, ჩვენ ვიმყოფებით ინდუსტრიის განვითარების ხანაში და თქვენი ხალხის ოდენა პოლიტიკური მომზადება რომ ქონდეს ჩვენ ხალხს, მაშინ სოციალიზმის განხორციელების დაწყება არც თუ ისე ძნელი საქმე იქნება".

ხანგრძლივი ტაში და ოვაციები ფარავს ჰიუსმანსის სიტყვებს, რის შემდეგ ინტერნაციონალის ხმებში და საერთო აღტაცებაში დელეგაცია სხდება ჭიათურის შტოზე მათთვის საგანგებოთ გამზადებულ მატარებელში. ამ დროს დელეგაციას მუშები აჩვენებენ შავი ქვის ვაგონებიდან გადმოტვირთვას, რასაც იღებს ცეკავშირის კინემატოგრაფი.

ორთქმავალი მიაქანებს ჭიათურის მთებში გასერილ გზაზე სტუმრებს და ქართლის შემდეგ აქ იშლება ახალი სურათები, ახალი ბუნება, სრულიად განსხვავებული უკვე ნახულიდან.

გზაში ყველა პატარა სადგური მორთულია ყვავილებით და წითელი დროშებით.

ჭიათურაში.

10½ საათზე საგანგებო მატარებელი ჭიათურის სადგურზე იყო. ისე, როგორც სხვა სადგურები, აქაც იგი მორთულია დროშებით და გირლიანდებით. სადგური ინტერნაციონალურ ლოზუნგებით სავსე პლაკატებით არის აჭრელებული.

მომღერალთა გუნდი ასრულებს რევოლიუციონურ სიმღერებს და საერთო ოვაციებში დელეგაცია სადგურიდან მიდის ადგილობრივ სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციის კომიტეტში, სადაც სტუმრებს მისასალმებელი სიტყვა უთხრა სერ. სიხარულიძემ. დელეგაციის სახელით კომიტეტს მიესალმა ემილ ვანდერველდე, რომელმაც სხვათა შორის სთქვა: „დღეს მოვედი ისეთ ადგილას, როგორსაც ჩვეული ვარ, მე 10 წლის განმავლობაში ვიყავი მაღაროს მუშათა დეპუტატი და დღეს, როცა აქ ვარ მაღაროს მუშებში, როცა ვათვალიერებ თქვენ ორგანიზაციას, მე თვალწინ მიდგას ჩვენი მიზნების ერთიანობა, რომ ჩვენ ვემსახურებით ერთ იდეალებს და ეს სურათებიც, ყველა ქვეყნის სოციალისტურ მოღვაწეთა, რომ ამშვენებენ თქვენ ორგანიზაციას, ამტკიცებს ჩვენი მუშაობის სოლიდარობას".

ამის შემდეგ მთელი დელეგაცია მინისტრ რამიშვილის, ალ. ლომთათიძის,

დღეს

გუშინ დილით ბათუმში ჩამოვიდა კარლ კაუცკი თავისი მეუღლით.

ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ ანტანტის მოწინააღმდეგე და ნეიტრალური სახელმწიფოებიც.

ლიონიდან მიღებული ცნობებით—პოლონელებს გროდნო აუღიათ.

ბოლშევიკების ცნობით—რუსეთ-პოლონეთის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს.

ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ საგარეო კომისიაში განაცხადა, რომ ბელგია საბჭოთა მთავრობას არამც-და-არამც არ იცნობსო.

ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების და სხვათა თანხლებით წავიდა სავანგეთო დამზადებულ ესტრადისკენ, სადაც თავი მოეყარა მაღაროს მუშებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს. მიტინგს ხსნის ამხ. ზ. გურული, რომელიც მოკლე მისალმებელ სიტყვას ამბობს.

დელეგატებიდან პირველათ ლაპარაკობს ინგლისის წარმომადგენელი, თემთა პალატის დეპუტატი მუშა ამხ. **შოუ**: ის ამბობს: თქვენ ხართ ჩვენთვის არა მარტო ერი, არამედ ახალი გამოცდილება, რომელსაც შეუყურებს მთელი ევროპის მუშათა კლასი. თქვენს გვერდით არის მეორე გამოცდილება, მეორე მაგალითი. მე მოვიარე რუსეთი და ვეცდები შევადარო ორი სისტემა ერთმანეთს. მე ვიტყვი რუსეთის კარგ თვისებებზე და ცუდზეც. კარგია ის, რომ ზრუნავენ მოხუცებზე და ახალგაზრდობის აღზრდაზე, მარა ამით თავდება საბჭოთა რუსეთის დადებითი მხარეები. მე ღრმად მწამს, რომ უდემოკრატიზმოთ შეუძლებელია სოციალიზმი, ხოლო დემოკრატიზმი გულისხმობს სრულ თავისუფლებას. პეტროგრადის და მოსკოვის მუშები შიმშილობენ, ორივე ქალაქი კვდება. მუშა ღებულობს ერთ მეოთხედს იმისას, რაც მის საზრდოთ საჭიროა, თქვენ არ შეგიძლიათ გამოსთქვათ აზრი, თუ კომუნისტი არა ხართ, თუ კომუნისტებს არ უჭერთ მხარს, თუ მათგან არ ღებულობთ ნებართვას. და აი, ამავე დროს საქართველოში რას ვხედავთ. პირობები შედარებით ერთნაირი იყო რუსეთში და საქართველოში; აქ ჩვენ ვნახეთ თავისუფალი ადამიანი, აქ ჩვენ ვნახეთ კრების, ბეჭდვის და სინიდისის თავისუფლება. თქვენი ქვეყანა არის ბუნებით მდიდარი და ხალხი ორგანიზაციაში გამობრძმედილი. ეს ბადებს იმედებს, რომ ახლო მომავალში თქვენ ეკონომიურათაც წინ წახვალთ. და როცა მივალთ ინგლისში, უნდა დავსვათ იქ კითხვა მუშათა წინაშე, რომელ გზას გავყვეთ, რუსეთის ტირანიას, ძალდატანებას, თუ თავისუფალ საქართველოს? მე კი ვიტყვი:—ჩვენ უნდა გავყვეთ საქართველოს გზას. ინგლისში 6½ მილიონი მუშაა შეკავშირებული, ჩვენში, მართალია ისე სწრაფათ არ შედის თავისუფლების იდეები, მაგრამ რაკი ერთხელ ჩაებეჭდება ინგლისელს თავში ეს აზრი, ის შემდეგ დაიცავს მას. და ვფიქრობ რომ 10 წლის განმავლობაში ინგლისშიაც მუშათა მთავრობას ექნება ადგილი.

ამავე დროს დემოკრატიის გზას გაყვება სხვა ქვეყნებიც. მოვა სოციალიზმი და მასცემს კაცობრიობას იმას, რაც არ მიუცია არც ერთ დროს და არც ერთ კლასს. მუშათა კლასი გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს ინტერნაციონალი“.

შოუს შემდეგ ლაპარაკობს ფრანგი **რენოდელი**, რომელმაც სხვათა შორის სთქვა:

„1914 წელს, როცა ჰაერში თოფის წამლის სუნი იდგა, როცა ომი უნდა დაწყებულიყო, ინტერნაციონალი შეეცადა ხელი შეეშალა გაბატონებულ კლასებისათვის სისხლის ღვრის მოწყობაში. 9 აგვისტოს დანიშნული იყო ვენაში კონგრესი, სადაც დასმული იყო ეს საკითხი. მარა იმპერიალისტებმა შესძლეს ომის დაწყება, 2 აგვისტოს უკვე საომარი მოქმედება გაჩაღდა. სხვადასხვა ქვეყნებში მუშები მოუმზადებელნი გამოდგნენ ომის შესაჩერებლათ, მარა ამ ხუთი წლის ომის მსვლელობამ გამოაღვიძა ღვთით ჩამორჩენილი ერების მუშებიც და ეხლა ყველა უფრთხის ომს. დამთავრდა დიდი ომი, მარა მისი შესაძლებლობა ჯერ არ მოსპობილა. მაღაროს მუშები განსაკუთრებული ენერგიით იბრძვიან ომის წინააღმდეგ. ამას წინეთ ჟენევაში საერთაშორისო მაღაროს მუშათა კონგრესი იყო, სადაც სთქვეს: „ნახშირი შეადგენს ომის პურს და თუ კაპიტალისტებმა კიდევ გაბედეს ომის დაწყება, მაშინ ჩვენ დავამშევთ ომს, არ მივსცემთ ნახშირსო“. და თქვენც, ამხანაგო მუშებო, ხელი-ხელ ჩაკიდებული წახვალთ ამ მთელი ქვეყნის მაღაროს მუშებთან ერთად“.

ტრიბუნაზე ადის **ვანდერველდე**, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდება ხალხი. ის სხვათა შორის ამბობს: „აი ეს შავი ქვა, ეს მაღაროები არის შემაკავშირებელი ჩვენი.

მე მინდა თქვენ იცოდეთ იმ ამხანაგების შესახებ, რომელნიც ამუშავებენ აქედან გაგზავნილ შავ ქვას. იქ ამ მასალას ამუშავებენ თქვენი ამხანაგები მუშა სოციალისტები. ისინი იბრძვიან 8 საათის სამუშაო დღისთვის, ისინი იბრძვიან შრომის პირობების გაუმჯობესებლათ. თავის მოვალეობას ისინი ასრულებენ პატიოსნათ, შრომობენ, რომ შრომით საძირკველი ჩაუყარონ მომავალ წყობილებას. დღემდე ამ შავი ქვით მზადდებოდა ზარბაზნები და ყუმბარები, ჯავშნოსნები და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რომლითაც კაპიტალისტები ანგრევდნენ ქვეყანას, დღეიდან კი მუშათა კლასი არ დაუშვებს ომს, და ამ თქვენი შრომის ნაყოფით ისარგებლებს მთელი დემოკრატია ხომალდების ასაშენებლათ, რკინის გზების გასაყვანათ, ბინების ასაგებათ და საერთოთ ქვეყნის გასამდიდრებლათ“.

ზ. გურული მადლობას უხდის სტუმრებს ხალხის სახელით და საერთო ოვაციებში სტუმრები მიდიან შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სავაჭრო შენობაში, სადაც ისინი მიიპატიჟეს სადილზე და სადაც მრეწველთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა გ. ჟურულმა, რომელსაც უპასუხა ამხ. დე ბრიუკემ *).

ნაშუადღევს 4 საათზე სტუმრები წავიდნენ პავლეს სარეცხი ქარხნის და მაღაროების დასათვალიერებლათ, სადაც დაყვეს 7 საათამდე და გულდასმით დაათვალიერეს როგორც ქარხანა, ისე მაღაროები.

საღამოს სტუმრები მიიპატიჟა ქალაქის გამგეობამ, რის შემდეგ 9 საათზე ღამით ისინი გაემგზავრენ შორაპნისკენ, საიდანაც 25 სექტემბერს დაათვალიერეს ტყიბული და შემდეგ ქუთაისი.

საბჭოთა რუსეთში

სუბოტნიკები. „კომუნისტურ შრომის სფეროში დიდი ცდა, სუბოტნიკები სხვადასხვა მიზეზების გამო ეხლა ჩვენ ცხოვრებაში მეორე ხარისხოვან როლს თამაშობენ. გვაქვს ჩვენ განყოფილებებიც, რომელნიც სუბოტნიკებს განაგებენ, განსაზღვრულ ადგილებშიაც იყრიან თავს, თითქოს ბევრი მონაწილენიც არიან, ალბათ რაღაც მუშაობა სწარმოებს კიდეც, მაგრამ ეს ხდება სადღაც ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრების წყაროდან შორს, და მუშაობა სწარმოებს უგულოდ და აღარა სჩანს ის შრომის აღფრთოვანება, რომელიც „დიდი ცდის პირველ თვეს ახასიათებდა“ („პროლეტარი“ № 62).

ბანდიტიზმი. აგვისტოს მეორე ნახევარში შესდგა სოფლად მომუშავეთა უკრაინის ყრილობა, რომელზედაც სხვათა შორის გამოირკვა, რომ ბანდიტიზმი სოფლად შეუძლებელს ხდის პარტიულ და საბჭოთა მუშაობას. ბანდიტიზმთან ბრძოლას აწარმოებს წითელ არმიის სარდლობა და ყოველ დღე იმართება ამ მიზნით თათბირი. ბანდიტიზმი მჭიდროთაა დაკავშირებული დეზერტირობასთან, რის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელდება. აქამდე არსებობდა დეზერტირობასთან მებრძოლი საოლქო კომიტეტები. ეხლა გადაწყდა შექმნას საგუბერნიო კომიტეტები, რათა ბრძოლა გაადვილდეს. („კომ.“ № 187).

რას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთი. ხარკოვის „კომუნისტ“-ის № 187 ში დ. მანუილსკი სწერს, რომ საბჭოთა რუსეთი მოგვაგონებს უზარმაზარ სასაფლაოს: აქ გამეფებულია შიმშილი, ეპიდემიები და უბედურება.

იურისტების აღრიცხვა. ხარკოვის გუბისპოლკომმა მოახდინა იურისტების აღრიცხვა. („პროლეტ.“ № 55).

სასურსათო მდგომარეობა უკრაინაში. სასურსათო თათბირზე ხარკოვში ვლადიმიროვმა თავის მოხსენებაში განაცხადა: თუ ჩვენ შევუდგებით სურსათის მხრით 1920 და 1919 წ. შედარებას, უნდა ვთქვათ, რომ შედარებით მდგომარეობა გაუარესდა. შარშან ცოტა რამეს მაინც ვაძლევდით არმიას და ცოტა რამეს მცხოვრებლებს. წელს კი სასურსათო მდგომარეობა გაუარესდა. („კომ.“ № 178).

ცეცხლი. ვიაზმაში დიდი ცეცხლი გაჩნდა. იწვება სასურსათო საწყობები. („იზვესტია“ № 176).

„წითელ“ ადერბეიჯანში

ფასები სურსათ-სანოვაგეზე. ზანგეზურის რაიონში ფულზე სურსათ-სანოვაგის შოვნა შეუძლებელია. ბაქოში პური ღირს 140 მან. და ზევით; ხორცი 200 მან. კარტოფილი 190 მანეთზე მეტი. შრომის სტატისტიკის განყოფილებამ განაცხადა, რომ პირველ საჭიროებების სხვა საგნებზე ფასების შესახებ ცნობები არ მოეპოვება. პროვინციაში ბაქოსთან შედარებით მდგომარეობა უფრო მძიმეა. („კომ.“ № 104).

დეზერტირები. ქიურდამირის რაიონში ბევრი დეზერტირებია. („კომუნისტი“ № 104).

დეფექტები მაზრებში. ჩვენი მაზრების დიდი ნაკლი ის არის, რომ იქ არ სწარმოებს საბჭოთა აღმშენებლობა, საქმე სწორედ არ არის დაყენებული, სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა შორის ქიშპი და შუღლი შემოსულაა. („კომ.“ № 104).

კრების წინააღმდეგ. ბაქოს სამხედრო ნავთსადგურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გამოირკვა შემდეგი: „ქალები დაშინებულნი არიან, სამსახურიდან დათხოვნის შიშით, ადმინისტრაცია მათ უხეშათ ეპყრობა. ქალები კრებებზე არ დადიან, ნელნელა იპარებიან და ამბობენ: „თუ ჩვენ კრებაზე წავედით, გამგე სამსახურიდან დაგვითხოვს, რადგან ასეთი შემთხვევა უკვე იყო. არჩეული გვყავდა კომისია, რომელსაც გამგესთან მოლაპარაკების წარმოება მოუხდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი სამსახურიდან დაითხოვა გამგემ და თან უთხრა: „ჩვენ ასეთი ხალხი არ გვჭირიაო“, ამიტომ სამსახურიდან დათხოვნის შიშით ქალები სულ არ იკრიბებიან თავის საჭიროებებზე მსჯელობისათვის. („კომ.“ № 104).

საკანცელარიო საგნების სიძვირის გამო. „ბაკისპოლკომმა“ აღკრძალა ბაქოდან საკანცელარიო საგნების და ქაღალდის გატანა. („კომ.“ № 106).

ხოლერა. ბაქოში ავად გახდარა 61 კაცი. აქედან გარდაიცვალა 35. („კომ.“ № 105).

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანული ცნობები

ზარალის ანაზღაურების შესახებ.

(დასაწყისი არ არის მიღებული) ფინანსთა მინისტრმა „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტს განუცხადა: მიუხედავათ იმისა, რომ რეიხსტაგმა უკვე გაიღო 10 მილ. მარკა, მას კიდევ 15 მილ. მარკის გაღება დასჭირდება, ვინაიდან საზავო ხელშეკრულების სისრულეში მოსაყვანად, მხოლოდ ერთ 1920 წ. განმავლობაში 26 ათასი მილიონი მარკა იქნება საჭირო.

ახალი არხების გაყვანა.

გერმანიის შრომის მინისტრი აცხადებს, რომ დაუყოვნებლივ შეუდგებიან ახალი არხების გაყვანას და ძველთა შეკეთებას. ამ რიგათ უმუშევართ სამუშაო მიეცემათო.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ოპერატიული ცნობა.

მოსკოვი. სექტ. 28. 30 ვერსის მანძილზე სლონიმის სამხრეთ დასავლეთით და კობრინის აღმოსავლეთით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. პრიპიატის რაიონში მზვერავთა მოქმედებაა. როვნოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. პროსკუროვის რაიონში ქალ. პროსკუროვო დავსტოვეთ; სტარო-კონსტანტინოვკის რაიონში ბრძოლა სწარმოებს მოპირდაპირის ცხენოსან ჯართან.

გაფიცვის შესახებ.

კოპენჰაგენი. სექტ. 26. თანახმად ლონდონიდან მოსულ ცნობებისა გაფიცვის საკითხი, მაღაროების მუშების მიერ ფაბრიკების საკითხის სამედიატორო სასამართლოზე გადაცემის შესახებ უარის თქმის შემდეგ, უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა.

ოდესა. სექტ. 12. ყირიმის მწარმოებლებმა ხელშეკრულება დასდვეს საზღვარგარეთ ერთი მილიონის, ხორბლის გატანის შესახებ.

საფრანგეთი პოლონეთს იარაღს უგზავნის.

პრაღა. სექტ. 26. საფრანგეთის იმის შიშით, რომ რუსეთ-პოლონეთის საზავო მოლაპარაკება ზავით არ დამთავრდეს, პოლონეთს უფასოთ ახალ ტრანსპორტებს უგზავნის იარაღით და სხვა სამხედრო მასალით.

ვრანგელი ახალ რაზმებს ადგენს.

ყირიმში ვრანგელი მოხალისეთა შეკრებას შეუდგა. ახალი რაზმები დგება რუმინეთში და კონსტანტინოპოლში.

მონარქიული შეთქმულება.

ნაუენი. სექტ. 25. ბავარიაში მონარქიული შეთქმულება აღმოაჩინეს.

ლიონის ცნობები

ბურჟუას წინადადება.

„პტი პარიზიენი“ ცნობით ბურჟუამ წინადადება მისცა პოლონეთს და ლიტვას იმოქმედონ ერთა ლიგის მიერ შემუშავებულ სავალდებულო დადგენილების თანახმად, იგი სთხოვს ამ სახელმწიფოთა მთავრობებს (დამახინჯებულია) კომისიაში, რომელშიაც ერთა ლიგას გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები. იმედი აქვთ, რომ კომისია ამ დღეებში გაემგზავრება სუვალკი.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის კონფერენციის წევრები გაეცნენ დღეს საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის დელეგატთა მოხსენებას.

ამერიკელთა აზრი საფრანგეთის შესახებ.

ამერიკის პრესაში დაბეჭდილია ოტო კამონის საფრანგეთში მოგზაურობის შთაბეჭდილება: საფრანგეთს შეუძლია დარწმუნებული იყვეს, აღნიშნავს ის, რომ მას გარედან საფრთხე არ მოელის. მეორე ცნობილმა ამერიკელმა ბერიმ განაცხადა: აუცილებლად საჭიროა ამერიკისა და საფრანგეთის ერთმანეთს შორის თანამშრომლობაო. ის შემდეგ აღნიშნავს: საფრანგეთს და ამერიკის ხალხთა საერთო თვისებას წარმოადგენს კანონისადმი პატივისცემა, შრომისა და მშვიდობიანობის მოყვარეობაო. ბოლოს ეხება მილერანის პრეზიდენტად არჩევას და ამას დიდ მოვლენად სთვლის. ამბობს: ყველას აქვს მისდამი ნდობა, ის ხელს უწყობს კანონიერებას, მრეწველობის აყვავებას და მფარველობს საზოგადოებასო.

ლიონი. პოლონელებმა გროდნო აიღეს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ბრიუსელის ფინანსიური კონფერენცია.

ლონდონი. სექტ. 23. (რადიო) ბრიუსელის კონფერენციაში, გარდა ევროპის დიდ სახელმწიფოებისა, მონაწილეობას იღებს ანტანტის მოწინააღმდეგე და ნეიტრალური სახელმწიფოებიც. საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციას, რომელსაც იწვევს ერთა ლიგა, ექნება სათათბირო და არა გადამწყვეტი ხასიათი. კონფერენციაზე დაისმება საკითხი საერთაშორისო სავაჭრო დამოკიდებულებისა და საქონლის გადაცვლა-გამოცვლის შესახებ. კონფერენციამ უნდა გამოარკვიოს კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოთა ფინანსიური მდგომარეობა და მისი პერსპექტივები. ამასთანავე იმსჯელებენ საერთაშორისო კრედიტის მობილიზაციის შესახებ. კონფერენცია შესდგება თვითეულ სახელმწიფოს 3 წარმომადგენელთაგან. ერთ წარმომადგენელს მთავრობა ნიშნავს, მეორეს ბანკები და მესამეს სავაჭრო-სამრეწველო ორგანოები.

ქაღალდის კრიზისი ევროპაში.

ჰელსინგფორსი. სექტ. 14. ევროპაში ქაღალდის კრიზისის გამო ფინლიანდიის ქაღალდის ქარხნებში გაძლიერებული მუშაობაა. მეფაბრიკეებს შეუკვეთეს ქაღალდი უმთავრესად ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკიდან და არგენტინიდან: შეკვეთილი საქონლის დასამზადებლად ქარხნებმა 11—12 წელიწადი უნდა იმუშაონ.

აფეთქება ნიუ-იორკში.

სტამბოლი. სექტ. 20. აქ მიღებული ცნობებით სექტ. 16 ნიუ-იორკის ბირჟის შენობაში საშინელი აფეთქება მოხდა. აფეთქებისაგან მოკვდა 15 კაცი დაიჭრა 50. აფეთქება დიდი ძალით მოხდა და მახლობელ სახლების ფანჯრებში მინები ჩაამტვრია.

ბელგია და საბჭოთა რუსეთი.

ბრიუსელი 10 სექტ. ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დელაკრუამ მარტო საგარეო საქმეთა კომისიაში განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა არამც და არამც საბჭოთა რუსეთს არ იცნობსო.

საქართველო და ადერბეიჯანი.

ადერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ მთავრობის წარმომადგენელმა მუსლიმ ისრაფილოვმა საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე კ. საბახტარაშვილი ინახულა და რწმუნების ქაღალდი ჩაბარა.

დეპეშა ბათომიდან

28 სექტემბერი.

დღეს, დილის 9 საათზე ბათომში ჩამოვიდა კ. კაუცკი თავისი მეუღლით. კარგათ არიან.

ვლ. მგელაძე და ა. წულაძე.

ახალი ამბები

◆ **შეშა მუშათა მაგიდისათვის.** შრომის სამინისტრომ სთხოვა გზათა უწყების დეპარტამენტს მიაწოდოს 40 ვაგონი მუშათა მაგიდის საჭიროებისათვის ლანჩხუთსა და ჯუმათს შუა მდებარე სადგურებიდან შეშის ჩამოსატანად. (სდს)

◆ **მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება.** ნავთის მიწოდება. სასურსათო განყოფილება იუწყება: ვინაიდან მუშებსა და მოსამსახურეებს არ აქვთ დრო დადგან რიგში ნავთის მისაღებად, ამიტომ სასურსათო განყოფილებამ ნავთის მიწოდება მოაწყო. მუშებმა და მოსამსახურეებმა სასურსათო განყოფილებაში უნდა წარადგინონ დამოწმებული სიები, რომლითაც ყოველ მოსამსახურეს 20 გირვანქა ნავთი მიეცემა, სიებში აღნიშნული უნდა იქნეს მისამართი, თუ სად უნდა მიიტანონ ნავთი. ფუთი ნავთი მიტანით 375 მანეთი ღირება. დაწესებულებებს ნავთს 10 ფუთზე ზევით არ მისცემენ. ფული ნავთის მიწოდების შემდეგ უნდა გადაიხადონ. (სდს).

◆ **ტყეების გამოკვლევა.** ტყის საბჭოს სხდომაზე მიწად მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრმა ს. ნ. ტიმოფეევმა გააკეთა მოხსენება: „ჩვენი ტყეების გამოკვლევის საჭიროების და ტყის საცდელი საქმის მოწყობის შესახებ“. მოხსენების შემდეგ საბჭომ დაადგინა: მიენდოს უფროს რევიზორს, შეაგროვოს ამ საკითხის შესახებ მთელი არსებული მასალა და შეადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება მიწად მოქმედების მინისტრის სახელზე. (სდს).

◆ **მარგანეცის ექსპორტი.** აგვისტოში გატანილი მარგანეცი, თანახმად საზოგადოება „ჩემო“-ს ცნობებისა აგვისტოს განმავლობაში გაუტანიათ 1.400.000 ფუთი მარგანეცი. ამ რაოდენობიდან ინგლისში გაუტანიათ 90 000 ფუთი, იტალიაში 25 000 ფუთი და სხვა. ამ ჟამად ფოთში იტვირთება 3 გემი რომელთა საერთო ტონი 400.000 ტონს უდრის, გემებს ინგლისის ნავთსადგურებისაკენ წავა. (ს. დ. ს.)

◆ **ცეცხლის საწინააღმდეგო კომისია.** ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა: ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსის ბერიძის თავმჯდომარეობით დაარსოს საგანგებო კომისია, რომელსაც ცეცხლის საწინააღმდეგო ზომების დამუშავება დაევალება. კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ქალაქის ტეხნიკურ განყოფილების და მილიციის წარმომადგენლები და აგრეთვე საქმის მცოდნე პირები. კომისიამ უნდა დაათვალიეროს ყველა თეატრი, ცირკი, კინემატოგრაფი და სხვა დაწესებულება. კომისიამ უნდა გამოარკვიოს, თუ სად არის საჭირო სადარაჯოების მოწყობა და თუ რა მასშტაბით უნდა მოხდეს მქრობელი რაზმის გადიდება და სხვა. (ს. დ. ს.)

◆ **ფოთის რაიონის გაჯანსრთელება.** წყლის სამმართველოში დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც ფოთის რაიონის გაჯანსრთელების, და პირველათ ყოვლისა, ტბების დაშრობის საკითხის შესწავლა დაევალა. (სდს.).

◆ **პური.** სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ მან მიიღო მთელი რიგი ზომებისა პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. მას იმედი აქვს, რომ პურის ღირსება მოკლე ხანში საგრძნობლათ გაუმჯობესდება. (სდს.).

◆ **მუშაობის დაწყება სახელმწიფო დაწესებულებაში.** მთავრობამ შეიწყნარა შრომის სამინისტროს შუამდგომლობა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ოქტომბრის პირველიდან მუშაობა იწყებოდეს არა 8 საათზე, არამედ 9 საათზე. (სდს.)

◆ **საოლქო სასამართლოს სესია.** საოლქო სასამართლოს წევრთა კრებამ დაადგინა პროვინციაში სასამართლოს სესიები გამგზავროს შემდეგი წესით: 1) ოქტომბრის 11—16 საოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იქნება სიღნაღს. 2) ოქტომბრის 11—15 ოლქის სასამართლოს სესია უნაფიცო მსაჯულებით გაემგზავრება ახალქალაქს, საიდანაც სესია გადავა ახალციხეს და იმუშავებს ოქტომბრის 16—23. 8) ოქტომბრის 25—30 საოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსა-

ჩვენ და რუსეთის მენშევიკები.

დამოუკიდებელ საქართველოსთან ერთათ, დიდი ხანია, დამოუკიდებელი არსებობა დაიწყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც. ის არც ორგანიზაციულათ, არც იდეურათ აღარ ემორჩილება რუსეთის პარტიას. ჩვენ, რასაკვირველია, მაინც გვაინტერესებს მისი დღევანდელი მდგომარეობა, მისი პოლიტიკური სახე. საინტერესოა ვიცოდეთ, არის თუ არა ჩვენში პრინციპიალური განსხვავება, გაირჩევიან თუ არა ერთი მეორისგან ეს ორი მენშევიკური პარტია—რუსეთის და საქართველოსი.

ხელში მაქვს იქაური ცენტრალური კომიტეტის და თათბირების*) რეზოლიუციები. ყურადღებას იქცევს მარტოვის მოხსენება მსოფლიო სოციალური რევოლიუციის შესახებ. მოვიყვან ჯერ ამ მოხსენების დებულებებს.

სოციალური რევოლიუცია.

1) ქვეყნიური იმპერიალიზმის განვითარებამ გამოიწვია მსოფლიო ომი, დაანგრია დიდი სახელმწიფოები, გაანადგურა მთელი ევროპა და შექმნა სოც. რევოლიუციის წინასწარი პირობები. ეს რევოლიუცია ამთავრებს კაპიტალისტურს და გზას უხსნის სოციალისტურ ხანას.

2) შეუძლებელია დღეს საკაცობრიო მეურნეობის ფეხზე დაყენება ძველი წარმოების წესით. აღარ შეიძლება რომ კაპიტალისტური კლასი დარჩეს წარმოების სათავეში. კაპიტალისტების მეტოქონა შეუძლებლათ ხდის მეურნეობის ისე მოწყობას, რომ ის ემსახურებოდეს საზოგადო ინტერესებს და არა მარტო ერთი კლასისას.

ეს არის სოც. რევოლიუციის ეკონომიური საფუძველი. ომის და მის შედეგების მიზეზით მშრომელი ხალხი ისეთ მდგომარეობაშია ჩაყენებული, რომ არ მოხერხდება ამ მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ ხელშეუხლებელი დარჩა კაპიტალისტების შემოსავალი, თუ მათ არ გადახდათ ომისგან გამოწვეული ხარჯები. ეს კი შეუძლებელი იქნება თუ სახელმწიფოებრივი ძალა უფლება ისევ კაპიტალისტური კლასის ხელქვეით დარჩა.

ეს არის რევოლიუციის სოციალისტური სარჩული.

კაპიტალისტური სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს საიმედო და მტკიცე ზავის ჩამოგდება, ვერ გაანთავისუფლეს მეურნეობა უნაყოფო ხარჯებისაგან, ვერ აიცილეს ახალი ომების მოლოდინი.

ეს არის სოც. რევოლიუციის პოლიტიკური პირობა.

3) ეს რევოლიუცია ამიტომ აუცილებელი შედეგია ეკონომიურათ წინ წასული ქვეყნების განვითარების. ამ ქვეყნებშია ქონებრივი, საზოგადოებრივი და ტეხნიკური საშუალებები სოციალისტური საძირკვლის გასაკეთებლათ. მაგრამ ერთი ქვეყანა დღეს ისეა მეორესთან დაკავშირებული, რომ რევოლიუციონური ქარცეცხლი ედება ჩამორჩენილ ქვეყნებსაც, თუმცა აქ კაპიტალიზმი საკმაოთ არ არის განვითარებული.

4) ამისთანა ქვეყნებში რევოლიუციას იწვევს ხალხის გაღატაკება, საწარმოო ძალების დაცემა, კლასობრივი სახელმწიფო მანქანის მოშლა. ბურჟუაზია აქ ველარ უძღვება მეურნეობას, უნდა გაუძღვეს მშრომელი ხალხი, ეს ადვილია მისთვის, როცა მოწინავე ქვეყნებში წარმოება ეწყობა საზოგადოებრივ ნიადაგზე. არ გაუჭირდება მათი გზით წასვლა, თუ ის ხელში ჩაიგდებს პოლიტიკურ ძალა-უფლებას, ფრთებს შეკვეცავს კერძო კაპიტალისტურ საქმიანობას, სახელმწიფოს და თვითმართველობებს გადასცემს ზოგიერთ საწარმოო დარგებს, თუ მოაწესრიგებს ვაჭრობას და წარმოებას, თუ შემოიღებს შრომის ბეგარას და სხვა. ყველა ამ საშუალებებით ჩამორჩენილი ქვეყნების მშრომელი ხალხი მოამზადებს კაპიტალიზმისაგან სოციალიზმში გადასვლის პირობებს.

5) ქვეყნიური სოც.-რევოლიუცია არ არის რამდენიმე თვის ან წლის საქმე. ეს არ ნიშნავს ერთნაირი წარმოების უცებ მოსპობას და მეორის ერთბაშად დაწესებას. ასეთი წარმოდგენა ეწინააღმდეგება მეცნიერული სოციალიზმის თეორიას. სოც.-რევოლიუცია არის რთული და ხანგრძლივი მსვლელობა. აქ თანდათან სხვაფერდება და იცვლება წარმოების წესი, თანდათან გაუქმდება ძველი და ფეხს მოიკიდებს ახალი. ეს რევოლიუცია გაივლის სხვა და სხვა გზას სხვა და სხვა ქვეყნებში. ახალ წესწყობილებაში გადასვლა წარმოუდგენელია ყველასათვის ერთნაირი საშუალებით. იმპერიალისტური ომი ყველგან სამოქალაქო ომათ უნდა გადაიქცეს და ეს გაგვიღებს სოციალიზმის კარებსო—არ შეიძლება ითქვას. მიუღებელია ამნაირი თეორია. პირიქით, შესაძლებელია მოწინავე ქვეყნებშიაც ეკონომიური აყვავების ხანა და მერე შინაგანი წინააღმდეგობების განვითარება მოამზადებს სოც.-რევოლიუციის ნიადაგს.

6) სხვა და სხვაობის მიუხედავად ყველა ქვეყნებში აუცილებელი უნდა იქნეს ერთი პირობა. პოლიტიკური ძალა-უფლება უნდა გადავიდეს მშრომელი ხალხის ხელში.

პოლიტიკური რევოლიუცია და მუშათა კლასის დიქტატურა.

7) ნებაყოფილობით და მშვიდობიანად არ მოხერხდება პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღება. ბურჟუაზია ამას ყოველთვის გაუწევს წინააღმდეგობას. უმრავლესობა ამიტომ მზათ უნდა იყოს ძალდატანებითი მოქმედებისთვის.

8) კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთ ძალა-უფლების ჩამორთმევას თან მოჰყვება მუშათა კლასის დიქტატურა. ჩამორჩენილებში კი ძალა-უფლება უნდა გადავიდეს მუშათა კლასის და წვრილი გლეხობის ხელში. ხელმძღვანელათ აქაც დარჩება ისევ მუშათა კლასი, რადგან ის უფრო მომზადებულია და შეგნებული, რადგან ის ეკონომიურ ცენტრებშია თავმოყრილი. ძალა-უფლების ასეთი განაწილება გაგრძელდება, სანამდის ეკონომიური წინსვლა აქაც მარტო მუშათა კლასის გაბატონებისთვის არ მოამზადებს ნიადაგს.

9) ეს დიქტატურა მიმართული უნდა იყოს მარტო იმ უმცირესობის წინააღმდეგ, რომელიც ძალმომრეობით ცდილობს ძველი ბატონობის შერჩენას. მუშათა კლასის დიქტატურა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მშრომელი ხალხის შემავიწროებელი. ეს კლასი ვერ შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, თუ არ მიიმხრო სხვა წრეებიც. მუშათა კლასის დიქტატურა უღლათ კი არ აწვეს თავზე ხალხის უმრავლესობას, ის ამ უმრავლესობის ნებას ასრულებს.

10) კლასობრივ დიქტატურას არაფერი აქვს საერთო ერთ პიროვნულ ან თვითნებობით დიქტატურასთან. ის არსებითათ გაირჩევა რევოლიუციონური უმცირესობის დიქტატურისაგანაც, თუმცა ეს უკანასკნელიც, შეიძლება, ხალხის უმრავლესობას ემსახურება. მუშათა კლასის განთავისუფლება თვითონ მუშათა კლასის საქმეა. ეს არის სოციალიზმის ძირითადი დებულება. უმცირესობის დიქტატურა ეწინააღმდეგება ამ დებულებას. ამასთანავე დიქტატურაში სოციალდემოკრატია ხედავს დიდ საფრთხეს, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს მუშათა კლასის რევოლიუციონური განვითარება და ხელი შეუშალოს სოციალურ გარდაქმნას. სოციალდემოკრატია ამიტომ უარჰყოფს ტერორს, როგორც დიქტატურის საშუალებას. ტერორი სჭირდება მხოლოდ უმცირესობას, როცა მშრომელი ხალხის უმრავლესობა მხარს არ უჭერს მის დიქტატურას.

დიქტატურა და დემოკრატია.

11) მუშათა კლასის დიქტატურა სრულიად არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს; პირიქით, ის ხელს უწყობს ამ პრინციპების ბოლომდის გატარებას. მაღლიდან ძირამდის გატარებული ხალხის შერთვა გამგეობა, მოხელე პირების არჩევა და მათი პასუხისმგებლობა ამომრჩევლების წინაშე, იდეური ბრძოლის ფართო თავისუფლება,—ესაა დემოკრატიის ძირითადი თვისებები და უამისოთ შეუძლებელია მუშათა კლასის სოციალისტური დიქტატურა.

12) ყოველი დემოკრატია მოქმედობს ამა თუ იმ ისტორიულ და საზოგადოებრივ საზღვრებში. მუშათა დემოკრატია გამოვიდა დაშლილი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან. საჭიროების მიხედვით ამ დემოკრატიას შეუძლია შეზღუდოს ხოლმე მის გარეშე მდგომი წრეების უფლებები,

13) უფლების შეზღუდვა ან წართმევა არ არის სოციალისტური დიქტატურის აუცილებელი თვისება, მაგრამ პირველ ხანებში მუშათა კლასს ეს შეიძლება დროებით დასჭირდეს თავისი მტრების მოსაგერიებლათ და ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ. თავის თავათ ამისთანა ზომების მიღება სისუსტის მაჩვენებელია. ბოლოს და ბოლოს ამას შეაქვს რეაქცია ფართო წრეებში. ამის თავიდან ასაცილებლათ უფლების შეზღუდვა არ უნდა ეხებოდეს მშრომელ ხალხს; აქ სავსებით დაცული უნდა იყოს დემოკრატიზმი.

მუშათა კლასის დიქტატურა და საბჭოები.

14) ყოველი ქვეყნის განვითარება ხდება განსხვავებულ პირობებში, ამიტომ პროლეტარული სახელმწიფო არ მოეწყობა ერთნაირათ. დოქტრინიორობა იქნებოდა ერთი კალაპოტის მოგონება ისტორიული მსვლელობისთვის.

15) მუშათა კლასის დიქტატურა საბჭოების ნიადაგზე უნდა უარვყოთ. მშრომელი ხალხის ორგანიზაციებს გარდა ანგარიში უნდა გაეწიოს სხვა დაწესებულებებს, რომლებსაც პირდაპირ ირჩევენ მოქალაქეები. სოციალ-დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს რეფერენდუმს და ხალხის თაოსნობასაც (народная инициатива).

16) როცა საბჭოთა სისტემას დემოკრატიას უპირდაპირებენ და მარტო საბჭოების საშუალებით ცდილობენ სოციალისტური წესწყობილების შექმნას, მაშინ სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასში ფეხს იკიდებს სინდიკალისტური მისწრაფება. სინდიკალისტები ქმნიან ახლავე მარტო მშრომელი ხალხის ორგანიზაციებს და მათ ხელში უნდათ სახელმწიფოებრივი საქმეების გადაცემა. აქამდის თუ მუშათა კლასი თავისი ინტერესების მიხედვით ვერ იყენებდა დემოკრატიულ დაწესებულებებს—დამფუძნებელ კრებებს და სხვას, ეს აიხსნება თვითონ მუშათა კლასის უძლურობით. საბჭოთა სისტემა ვერ სპობს ამ უძლურობას, ის მხოლოდ მშრომელი ხალხის ერთ პატარა ნაწილს ამცევებს და ამას უმრა-

---

*) გ. ჟურულის სიტყვას და ამხანაგ დე ბრიუკეს პასუხს ცალკე მოვათავსებთ.

*) 1917 წლის დეკემბერს აქეთ აღარ მომხდარა რ. ს. დ. პარტიის ყრილობა. ბოლშევიკების „სოციალისტურ“ სამეფოში ეს შეუძლებელი იყო. ახდენდნენ ხოლმე ხანდახან ზოგიერთი კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირს.

ჯულთა მონაწილეობით გაემგზავრება სურამს. (სდს.).

◆ **ერობათა შუამდგომლობანი.** შორაპნის მაზრის ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა დახმარება აღმოეჩინოთ იმათ, რომლებსაც საქონლის ჭირმა საქონელი გაუწყვიტა. შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ამ შუამდგომლობას და შორაპნის მაზრის ერობას მოსთხოვა გამოარკვიოს თუ რამდენად დაზარალდნენ მცხოვრებლები ამ სახით. (სდს).

— გუდაუთის ქალაქის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სასურსათო საქმის აპერაციებისათვის საჭირო სესხის მოცემის შესახებ შუამდგომლობა აღძრა. სამინისტრომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ მოსაზრებით, რომ ამ რამოდენიმე ხნის წინად ½ მილიონი მანეთის სესხი მიეცათ. (სდს).

— სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაამტკიცოს დადგენილება ბინიატ-ოღლის სახლის ჩამორთმევის შესახებ. ჩამორთმეული სახლი მუშათა სასახლეთ უნდათ გამოიყენონ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა შრომის სამინისტროს გადაუგზავნა თავის მხრივ მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღსაძრავად.

◆ **სამურზაყანოს სამაზრო ერობა.** ერობათა კავშირის კომიტეტმა სამურზაყანოს სამაზრო ერობიდან მიიღო ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ სამურზაყანოს ერობა ყოველთვის ღებულობდა ზომებს საქართველოსთან დაახლოვებლად და ცდილობდა ჩამოეგდო მჭიდრო კავშირი საქართველოსა და აფხაზეთის ერობების შორის და, არასდროს არ ჩაუდენია ისეთი რამ, რასაც შეეძლო საქართველოსა და აფხაზეთის შორის უთანხმოების ჩამოგდება. ერობათა კავშირის კომიტეტი საქართველოს სხვა ერობებთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე აფხაზეთის ერობებსაც, რაც შეეხება აფხაზეთში ერობათა და ქალაქების კავშირის დაარსებას, ეს გამოწვეულია მით, რომ აფხაზეთის ქალაქის თვითმართველობები თავის შინაურ საქმეების განსახორციელებლად ერობებთან მჭიდრო კავშირის დაჭერას საჭიროებენ. მაგრამ ეს კავშირი არავითარ შემთხვევაში არ ფიქრობს რესპუბლიკის კავშირიდან ჩამოშორებას პირიქით ჩვენ სურვილს გამოვთქვამთ, რათა აფხაზეთის და საქართველოს ერობათა კავშირების შორის კავშირი უფრო განმტკიცდეს.

◆ **ტყეები.** შრომის სამინისტრომ სთხოვა აფაკერთა ეკონომიურ საზოგადოებასა და სამხედრო უწყების ხეტყის ქარხნებს—მიიღონ ზომები მდინარე მტკვარზე ჯებირების შესაკეთებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში აკრძალული იქნება წისქვილების რაიონში ტყეებით ხეების გადატანა. (სდს)

◆ **კინემატოგრაფი „მინიონი“.** შრომის სამინისტრომ აცნობა არამიანცს, რომ თანახმად მთავრობის დადგენილებისა წინადადება ეძლევა მას, რაც შეიძლება მოკლე ხანში გაანთავისუფლოს შენობა, რომელიც ამ ჟამად მინიონს უკავია. არამიანცის შუამდგომლობა, რომ ჩამორთმეულ სახლიდან რუსთაველის ქ. № 17 დაეთმოთ კინემატოგრაფისათვის შენობა, უარყოფილ იქნა, ვინაიდან ქალაქის საბჭოს ცნობით არამიანცს თფილისში სხვაგანაც აქვს მამულები. (სდს)

◆ **საავარაკო საქმე.** თანახმად მიწადმოქმედებასთან დაარსებულ განსაკუთრებულ საავარაკო კომისიის ცნობებისა ლეჩხუმის ერობას ლაშხეთში სამი წყარო და საექიმო პუნქტი მოუწყვია. ცხომარის მჟავე წყლები დიდძალ ნახშირბადს შეიცავს. საავარაკო კომისიამ, გაეცნო რა სვანეთის მადნეულ წყლებს, გამოიკვლია აგრეთვე სამეგრელოში არსებული ორი დიდი მადნეული წყარო—ცაიშისა, რომელიც ზუგდიდიდან სულ 10 ვერსის მანძილზე იმყოფება და ნაქალაქევისა, რომელიც ახალსენაკიდან 17 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ წყლებთან მოუწყობილია აბანოები. ნაქალაქეში—სენაკში ერობის ექიმიც კი იმყოფება. (სდს).

◆ **შრომის სამინისტროში.** შრომის სამინისტრომ ქალაქის სასურსათო განყოფილების მიმართ შემდეგი განცხადებით: მიუხედავათ შრომის სამინისტროს რამოდენიმე მომართვისა, რომ იმ წისქვილში, სადაც მუშათა მაგიდის ხორბალი იფქვება, კერძო პირთა ხორბალი არ დაფქვულიყო, ასეთ მოვლენებს მაინც აქვს ადგილი. კერძო პირთაგან მიღებულ ხორბლის გამო შეუძლებელი ხდება წისქვილებში კონტროლი, ვინაიდან ხორბალი ზოგჯერ უნებურათ აირევა ხოლმე. ამიტომ შრომის სამინისტრო განმეორებით გთხოვთ კერძო პირთა ხორბლის მიღების აკრძალვას დასახელებულ წისქვილებში. (სდს.).

კრებები.

— ოთხშაბათს, 29 ენკენ., საღამოს სრულ 5 საათზე ნაძალადევის თეატრში, შესდგება 1 ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება. წევრებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ.

— ს. ს. დ. მ. 3. სომხური სექცია სთხოვს ამხანაგებს მობრძანდნენ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება ოთხ. 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე (ერთობის ქუჩა № 4).

— 30 სექტემბერს, საათის 4-ზე შესდგება მე-7-დე რაიონული კოლექტივის სხდომა, რაზედაც უნდა გამოცხადდნენ ყველა კოლექტივის წევრი.

პროვინციის ქრონიკა.

ქ. სამტრედია. პარასკევს პირველ ოქტომბერს არის დანიშნული რაიონული ს. დ. პ. კომიტეტის სხდომა. კომიტეტის წევრებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

— **ახალციხე.** მაზრაში ხილისა და კარტოფილის მოსავალი კარგი იყო. ახალი მოსავლის კარტოფილი 180—200 მ. ღირს. სირვეკ ბეგის დადებული ხილის ბაღები ერობას მიეცა იჯარით. ერობის მოღვაწეობა მაჰმადიან მცხოვრებლებთან დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად ბრწყინვალედ მიმდინარეობს. მაჰმადიანები ადგილობრივ მთავრობისადმი კარგ განწყობილებაში არიან. (ს. დ. ს.)

— **ახალთუმანი.** ახალთუმანში ცხოვრება შედარებით იაფია. სურსათ-სანოვაგე საკმაოთ იშოვნება. აქ მცხოვრებ ავადმყოფებს ეძლევათ სულზე ერთი გირვანქა თეთრი პური, გირვანქა 30 მანეთად ბაზარზე ადგილობრივი პური გირვანქა 25 მანეთი ღირს. განზრახულია მიეწყოს ლტოლვილებისათვის რამოდენიმე უფასო სადილი. სათანადო შუამდგომლობა მთავრობის წინაშე უკვე აღძრა. მიღებულია ზომები სარძეო ფერმის საქმეთა გასაუმჯობესებლად. (სდს).

რესპუბლიკის სამაზრო ერობებს

მეტად მძიმე პირობებში ჩავარდნენ ამ უკანასკნელ დროს ქალაქის მუშები და საზოგადოთ ქალაქის მცხოვრებნი; მიუხედავათ მთავრობის მიერ რესპუბლიკის ფარგლებში თავისუფალ ვაჭრობის გამოცხადებისა და მიუხედავათ მიმდინარე წლის კარგი მოსავლისა, ქალაქს სოფლიდან არ შემოუდის საჭირო სურსათი და რაც შემოდის ძლიერ ძვირი ჯდება და უღარიბესობისათვის ხელმიუწვდომელია. დღითი დღე პირველ საჭიროების საგნებზე ფასი იზრდება და არ უჩანს დასასრული ამ ზრდას ყოველივე ეს, რასაკვირველია, იწვევს მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობას, ჯერჯერობით ჩუმ უკმაყოფილებას და ალაგ-ალაგ აშკარა საყვედურის გამოთქმასაც. მომავალში შესაძლებელია ყოველივე ამას არა-სასურველი შედეგიც მოჰყვეს და საჭიროა ეხლავე სათანადო ზომების მიღება. ერობებს ამ დარგში ბევრის მოგვარება შეუძლიათ და ისინი უეჭველათ ჩვეულებრივ ჩაებმიან ამ დიდ ნიშნეულობან საქმეში. პირველ ყოვლისა საერობო დაწესებულებანი შეეცდებიან დაუმტკიცონ სოფლელებს, რომ ეს უკანასკნელნი ვალდებულნი არიან მიაწოდონ ქალაქს ის სურსათი, რაც მათ საჭიროებას აღემატება და მით იხსნან ქალაქი განსაცდელისაგან და სახელმწიფო არა-სასურველ მოვლენებისაგან. ეჭვს გარეშეა ერობის მოქმედება ამ მხრივ ნაყოფიერი იქნება, სოფელი არ დაიშურებს თავის მხრივ დახმარება გაუწიოს ქალაქს და ამით მტკიცე და მაგარი ნიადაგი მოუმზადოს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას; მაგრამ მოსალოდნელია სოფლის მიერ ქალაქისათვის მიწოდებულ საქონლის გადაზიდვის დროს გაწეულ ხარჯების გამო იმდენად ფასები დაიდოს, რომ მომხმარებელმა ვერც კი შესძლოს იმის შეძენა.

შემჩნეულია, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ეხლა საქართველო იმყოფება, ადგილობრივ მრავალი არა კანონით შემოღებული გადასახადი წესდება გადასახადის თუ ნებართვების გაცემის სახით რაც საქონლის აძვირებს და მის ღირებულებას ზრდის. კანონით დაწესებული გადასახადი და მთავრობის ან მომარაგების სამინისტროს მიერ შემოღებული წესი, რასაკვირველია, სავსებით შესრულებული უნდა იქნეს, ხოლო რაც ამას ეწინააღმდეგება და კანონით არ არის ნება დართული, დასაშვები არ არის და საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ სათანადო ზომებს მიიღებენ და კანონის საწინააღმდეგო არა იქნება რა ჩადენილი. უეჭველათ ძნელი წარმოსადგენია სახელმწიფოებრივი მოქმედების ნორმალური მსვლელობა, როდესაც საერთო კანონების გარდა გადასახადების შესახებ ადგილობრივ თემის თუ სამაზრო ერობის ფარგლებში შემოღებულია ადგილობრივი გადასახადები საქონლის გაზიდვის, თუ შემოზიდვის დროს. შეიძლება ეს ზომა შეადგენს შემოსავლის რამე წყაროს ადგილობრივ დაწესებულებებისათვის, მაგრამ ის საქონლის ფასს აძვირებს და იწვევს მკვიდრთა კანონიერ და სამართლიან უკმაყოფილებას.

ერობათა კავშირის კომიტეტი ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს საერობო დაწესებულებანი, როგორც სახელმწიფოს მმართველობის ორგანოები ადგილობრივ, მტკიცეთ ადევნებენ თვალყურს კანონების დაცვას, არავითარ გადასახადს, არა საკანონმდებლო წესით შემოღებულს, არ დაუშვებენ, თავის მაცადინობით და რჩევით მიაწოდებინებენ სოფლელებს ქალაქისათვის ხელმისაწვდომ ფასებში სურსათს და მით იხსნიან სახელმწიფოს არასასურველ მოვლენისაგან, რომელიც მას მოელის, თუ სასურსათო საკითხი სასურველად მოწესრიგებული არ იქნება.

ერობათა კავშირის კომიტეტი.

აფხაზეთში.

აფხაზეთის კომისარიატს მიწად მოქმედების განყოფილებამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წარუდგინა მოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ განყოფილებამ განსაკუთრებული ყურადღება კულტურულ მამულების მიღებას მიაქცია. ამას გარდა მიღებულ იქნა ზომები ტყეების გაჩეხის წინააღმდეგ. გამოიმუშავეს წესები ტყის მამულების სოფლებზე გადაცემის შესახებ. შეშას და ხეტყას მასალა სოფლელებს უფასოდ ეძლეოდათ. ყურადღება მიექცა აგრეთვე ერობებში საბეითლო საქმეს, საძოვრების ექსპლოატაციას, გადასახადების და სხვათა საქმეს. მიწად-მოქმედების განყოფილებამ რევიზია მოახდინა ფუთუნის საცდელ პლანტაციის და სოხუმის სასოფლო სამეურნეო სადგურისა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ადგილობრივ აგრარულ რეფორმის განხორციელება, რასაც ხელს უშლიდა სოხუმის ოლქის შერეული მოსახლეობა: ამ მიზნით შედგა 13 სარაიონო და ქვესარაიონო კომისიები, რომლებსაც დაევალათ უმამულოთა და მცირე მამულიანთა სიების შედგენა, რათა მათ სახელმწიფო ფონდიდან მამულები დარიგებოდათ. უმამულოთ და მცირე მამულიანთ ფონდიდან მიწები მიეცემოდათ სიების მიხედვით. სათემო და სასოფლო ქვეკომისიებმა ეს მამულები საჭიროების მიხედვით გაანაწილა. მოხსენებაში აღნიშნული იყო დაწვრილებითი ცნობები სამურზაყანოს, კოდორის, გუმისტანის და გუდაუთის მაზრებში აგრარულ რეფორმის განხორციელების შესახებ. (ს. დ. ს.)

მოქალაქეების რეგისტრაცია

კანონების გადამსინჯავმა კომისიამ მოქალაქეების რეგისტრაციის შესახებ შემდეგი პროექტი შეიმუშავა: კანონპროექტით დაბადება, ქორწილი და სიკვდილი აღინიშნება მეტრიკულ წიგნში, რომლებსაც აწარმოებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. დაბადება, ქორწილი და სიკვდილი უნდა აუწყოს სათანადო დაწესებულებას მშობლებმა, ნათესავებმა, მახლობლებმა და თუ ასეთები მათ არა ყავთ ბინის, სახლის მეპატრონეებმა და დაწესებულების უფროსებმა. ქორწილის შესახებ განცხადება თვით ჯვარდაწერილებმა უნდა შეიტანონ. წიგნს ამის შესახებ ორ ეგზემპლიარში აწარმოებენ. მეორე ეგზემპლიარი გადაეცემა ნოტარიუსის არქივებს რომლებიც საოლქო სასამართლოებს ექვემდებარება. არქივებმა და სხვა ორგანოებმა დაინტერესებულ პირთ უნდა მისცეს დაწვრილებითი ამოწერილობა. ამასთანავე დაბადების, ქორწილის და სიკვდილის ყოველ შემთხვევაში შედგენილ იქნება სტატისტიკური ბარათი და შემდეგ ეს ბარათი გადაეგზავნება სტატისტიკურ კომიტეტს. დაბადების, ქორწილის და სიკვდილის კანონიერი დამამტკიცებელი არის მეტრიკულ წიგნიდან ამოწერილობა. ყოველ სარწმუნოების საშუალებებს ეკრძალება მღვდელთ-მსახურების შესრულება იმ პირების მიმართ, რომელთა შესახებაც კანონიერი სარეგისტრაციო ცნობები არ იქნება წარმოდგენილი. ამ საქმეში დამნაშავენი დაისჯებიან სასჯელთა დებულების 20 მუხლის ძალით. არსებული კანონები, რომელიც ამ კანონს ეწინააღმდეგება, უქმდება. ამ კანონის ძალაში შესვლის დროს განსაზღვრავს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მხოლოდ კანონი ძალაში უნდა შევიდეს დამფუძნებელ კრების მიერ მიღების შემდეგ არა უგვიანეს 6 თვისა. (სდს)

უცხოეთი

შეიდემანის აზრი ჟენევის კონგრესის შესახებ.

კასსელში მრავალრიცხოვან კრებაზე ფილიპ შეიდემანმა შემდეგნაირათ დაახასიათა ჟენევის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესის მუშაობა:

„სინამდვილემ გადააჭარბა გერმანიის სოციალ დემოკრატიის ყველა მოლოდინს. ომისთვის პასუხისმგებლობის საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტამ გზა წმინდა გზა მთელი ქვეყნის სოციალისტების მომავალში მეგობრულ მუშაობისათვის. გერმანიის დელეგაციის ყოფაქცევა განისაზღვრებოდა მისი გულწრფელი სურვილით—დაეცვა თავისი სოციალისტური დემოკრატიული შეხედულებანი და დავიდან აეშორებინა ის, რის გამართლებაც პარტიისა და ხალხის წინაშე არ შეიძლებოდა. ჩვენ უარი განვაცხადეთ სოციალ დემოკრატიის დანაშაულის აღიარებაზე, მაგრამ იმავე დროს ჩვენ არა გვქონია სურვილი შეგვემცირებინა იმპერატორის გერმანიის დანაშაულობა. დღ, ჩვენი ყოფაქცევით აღელვებული ბურჟუაზიული პრესა გაეცნოს საზავო ხელშეკრულების და ხალხთა ლიგის შესახებ რეზოლიუციებს, რომლებიც კონგრესმა მიიღო ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის შემდეგ. პრაქტიკულად ეს რეზოლიუციები იმას მოასწავებენ, რომ ბელგიელი სოციალისტები, მათ შორის ვანდერველდეც, რომელმაც მოაწერა ხელი, როგორც ბელგიის მინისტრმა, საზავო ხელშეკრულებას, და ფრანგი სოციალისტები მოითხოვენ თავის მთავრობებისაგან ხელშეკრულების გადასინჯვას. განა დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ მაკდონალდმა, ინგლისის ერთ-ერთ უფრო გამოჩენილმა პარლამენტს მოღვაწეთაგანმა, წარუდგინა კონგრესს რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ინგლისის მთავრობისაგან ცენტრ ევროპის აღდგენის საქმეში დახმარებას. სურსათით, სატრანსპორტო საშუალებებით და სხვა სამეურნეო ღირებულებებით მოწოდებას? და ეს იმ დროს, როდესაც მუშათა პარტიის მიერ დაყენებულ კაბინეტზე, ჰენდერსონის მეთაურობით, ლაპარაკობენ, როგორც ინგლისის მომავალ მთავრობაზე. კონგრესის დიდი მნიშვნელობა მოსჩანს აგრეთვე რუსეთ-პოლონეთის საკითხის რეზოლიუციიდანაც, რომელშიც გამოთქმულია სასტიკი ნეიტრალიტეტის მოთხოვნილება და ამას მხარს უჭერს მაღაროებში მომუშავეთა საერთაშორისო ყრილობა, რომლებიც იმუქრებიან გაფიცვის გამოცხადებით ომის ხელახლა დაწყების შემთხვევაში. ეს არის ფაქტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ მეორე ინტერნაციონალი წარმოადგენს დიდ ძალას, თუ ის შეინარჩუნებს სიმტკიცეს და მთლიანობას. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული სოციალიზმის ნიადაგზე. ამიტომ კონგრესმა აგრეთვე გარკვეულათ გამოთქვა თავისი შეხედულება დემოკრატიისა და ბოლშევიზმის საკითხის შესახებ. მან უარჰყო ბოლშევიზმი. ჩვენ არ ვიცნობთ შერიგებლობას, არამედ გვსურს სიტყვით და საქმით დავიცვათ დემოკრატია. გერმანიაში ჩვენ მოვიხმართ ყველა ჩვენ ძალებს იმისათვის, რათა დავამტკიცოთ, რომ მთელი მუშათა კლასის, პროლეტარიატის არ ვითარი მნიშვნელობა არა აქვს მცირეოდენ ჯგუფს“.

პური ევროპაში

მსოფლიო ქარტეხილის დაწყებისას და განსაკუთრებით ევროპის ცხოვრებიდან რუსეთის ამოსვლის შემდეგ—პურის საკითხი გადიქცა ერთ მთავარ საკითხად, რომლის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს აზროვნება სახელმწიფოთა შორის-მეურვეველ მთავრობათა, პოლიტიკურ მოღვაწეთა და ყველა პატიოსან კაცთა, რომლებიც კი დაუსახავთ მიზნად ხალხის სამსახური. ამისათვის ცხადია, რომ ევროპის სახელმწიფოთა მოწყობილი აპარატი უმთავრესად ამოძრავებულია ამ მიმართულებით და ცდილობს შეუმსუბუქოს ხალხს მძიმე ტვირთი მძიმე ომისაგან გამოწვეული, რათა ისედაც დაჭიმულ ნერვებს მეტი დაჭიმვა არ მოუხდეს უპურობისა გამო.

რა ზომებს მიმართა ევროპამ ამ საკითხის სასურველად გადასაჭრელად?

უპირველესად ყოვლისა სახელმწიფო სურსათის მიმწოდებელ სამინისტროს სახით თვითონ ჩაუდგა პურის საკითხის მოგვარებას სათავეში.

მან დაწვრილებით გაიგო რაოდენობა მხარეში მოსულ პურეულობისა, ზედმეტი მოსავალი ჩამოართვა მეპატრონეთ მაგარ ფასებში (მაგ. წელს საფრანგეთში 100 კილოგრამს იძენს მთავრობა 100 ფრანკად), ივარაუდა დანაკლისი და შეიძინა კიდეც იგი უცხოეთში, უმთავრესად ამერიკაში, და დიდის დეფიციტით აწვდის ხალხს საკმარისს და მშვენიერ თეთრს პურს.

მაგალითად საფრანგეთმა შეიძინა შეერთებულ შტატებში, არგენტინაში, კანადაში, ავსტრალიაში, ალჟირში და ტუნიზში.

ხორბალი:	1919—20 წ. ქვინ. (100 გ.)	1918—19 წ. ქვინტალი.
აგვისტოში	1.891 855	805 326
სექტემბერში	1.397.013	1.159.446
ოქტომბერში	1.383.013	361.095
ნოემბერში	1.854 026	1.058.801
დეკემბერში	2 568.160	2.458 475
იანვარში	1 111,141	2.064 746
თებერვალში	1.462 583	1.528.056
მარტში	2.188.740	602 570
აპრილში	1.033.768	633.021
მაისში	1.554.375	726.092
სულ	16.444.694 ქვ.	11.397.628

სიმინდი:	1920 წელს. ქვინტალი	1919 წელს. (1 ქვ. 100 გირვანქა)	1918 წელს.
შეერთებულ შტატებში	145.617	62.604	124.194
არგენტინაში	2.533.196	46.656	251.173
დანარჩენ ქვეყ.	107.541	315.359	304.848
სულ	2.786.354	424.619	680.215
ღირებული	156.036.000 ფრ.	23.779.000	38.092.000 ფრ.

შვრია:	ქვინტალი	ღირებული (ფრან.)
1920 წ.	1.697.413	95.055.000
1919 წ.	1.898.675	106.326.000
1918 წ.	1 358.259	76.062.000

(ცნობები ამოკრეფილია გაზ. „de Bulletin des Halles, Bourses et Marchés“-მიერ საფრანგეთის საზღვაო დოკუმენტებიდან იხ. № 184).

როგორც ამ ცნობებიდან სჩანს საკმაო პურეულობა საფრანგეთს მეტად ჰკლებია, მაგრამ ხალხს ეს თითქმის არც კი უგრძნია.

ერთი კილოგრამი პურისა ომამდე ღირდა საფრანგეთში 0,35—0,40 ფრანკი. ომის დროს ამ ფასმა აიწია 0,45—0,50 ფრ. ესე იგი, 25 პროცენტით და 1920 წლის მარტის 15 მდე პურს ფასი არ მომატებია.

ადვილი წარმოსადგენია თუ რა დაუჯდებოდა ჩვენ დროისათვის ეს საზღაპრო სიიაფე პურისა სახელმწიფო ხაზინას და დეფიციტის შესამცირებლად **მხოლოდ ომის დასრულებისას** კილოგრამი პურისა მთავრობამ გახადა 1,05 ფრ. ამ ზომით დეფიციტი შესამჩნევად შემცირდა, მაგრამ მაინც იმდენად საგრძნობი იყო იგი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, რომ პარლამენტმა აიძულა მთავრობა აეწია ფასი პურისა 1,30 ფრ. კილოგრამზე და ამნაირ პირობებშიაც „დეფიციტი“ უდრის 1,304,000,000 ფრანკს, ესე იგი, სახელმწიფო ხაზინა წელს ამ თანხას „იზარალებს“.

ამნაირად დღეს მშვენიერი თეთრი პური კილოგრამი ღირს საფრანგეთში 1,30 ფრანკი, ესე იგი, ჩვენშიაც რომ ამდენათვე გაძვირებულიყო პური, იგი ეღირებოდა: თეთრი გირვანქა—15—20 კაპ. წითელი 10—12 კაპ.

იტალიაში, სადაც აგრეთვე არ მოდის საკმარისი რაოდენობა პურისა ამნაირივე ზომებით იხსნეს ხალხი სპეკულიანტების კლანჭებისაგან და ავადმყოფობისაგან.

იქ ერთი კილოგრამი თეთრი პური ღირს ერთი ფრანკი და რა უჯდება ეს მთავრობას?

შარშან დაუჯდა 4 მილიარდი ლირა და წელს კი იგივე დეფიციტი ნავარაუდევია 6 მილიარდამდე.

დაახლოვებით ამნაირივე მდგომარეობაა ყველგან. პური ხალხისთვის ხელმისაწვდომია, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებთ მეტად „ძვირად“ ეჩვენებათ მაინც მისი ფასი.

და განა იგი ძვირია?

ინგლისში კილოგრ. ღირს—0,70 ფრ.
ბელგიაში „ „ —1,25-1,13 „

ჩილებს იმავე ხალხის უმრავლესობას.

სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა.

ამისთანა მდგომარეობა შეიცვლება მხოლოდ მაშინ, როცა გაერთიანდება დაქსაქსული მუშათა მოძრაობა, როცა ბოლო მოეღება ერთი მხრივ შემარიგებელ — ოპორტიუნისტულ და მეორე მხრივ ანარქო-სინდიკალისტურ მისწრაფებებს — სოციალ-დემოკრატიამ ხელი უნდა შეუწყოს მუშათა კლასის გაერთიანებას.

სადაც რევოლიუციონური განვითარების პირობების გამო ძალა-უფლება უმცირესობას ჩაუვარდა, სოციალ-დემოკრატიამ მხარი უნდა დაუჭიროს ამ უმცირესობას რეაქციასთან ბრძოლაში და თანდათან უნდა შეუწყოს ხელი მისი პოლიტიკის შეცვლას, ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა მთავრობის ნამდვილი მშრომელი ხალხის დიქტატურათ გადაქცევას.

ამავე დროს სოციალ-დემოკრატია უნდა ერიდოს ყოველივე შეთანხმებას ყოველივე კავშირს ბურჟუაზიასთან. მუშათა კლასის ერთი ნაწილი რომ ბურჟუაზიას შეუერთდეს და დანარჩენ მუშათა კლასს დაუპირდაპირდეს, ეს დამღუპველი იქნება მთელი მოძრაობის საქმისათვის.

ასეთია ამ დებულებების შინაარსი. როგორც ვხედავთ მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლათ მიაჩნია სოც. რევოლიუცია. სად არის ამის პირობები? დებულებებში ნაჩვენებია სამი მთავარი პირობა. პირველი,—კაპიტალისტები ველარ გაუძღვებიან წარმოებას, მეორე,—მშრომელი ხალხი დიდ მოთხოვნილებებს აყენებს და მისი დაკმაყოფილება აღარ შეიძლება ძველი წესწყობილების ფარგლებში, მესამე,—ძველი გაბატონებული წრეები ველარ შეძლებენ მშვიდობიანი განვითარების გზას.

ეს არის, ასე ვთქვათ, უარყოფითი პირობები. არ არის არცერთი დადებითი. კაპიტალისტები ველარ გაუძღვებიან წარმოებას, მაგრამ არის თუ არა მეორე კლასი, რომელსაც შეუძლია გაძღოლა? არის თუ არა მუშათა კლასი მომზადებული ამ საქმის ხელში ასაღებათ? ძველ ეკონომიურ ნიადაგზე აღარ მოხერხდება მშრომელი ხალხის დაკმაყოფილება, მაგრამ შეიძლება თუ არა ეს მაშინ, როცა წარმოება საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელში გადავა? ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ „სოციალისტური“ რუსეთში მუშა აუტანელ მდგომარეობაშია, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში ის არ განიცდის ამისთანა გაჭირვებას. ძველი გაბატონებული კლასები ვერ ქმნიან მშვიდობიან დამოკიდებულებას ერთი მეორესთან, მაგრამ—შეუძლიათ თუ არა ეს სხვა კლასების წარმომადგენელ მთავრობებს?

ცენტრალური კომიტეტის ვრცელი რეზოლიუცია ამ კითხვებზე არ იძლევა პასუხს. ვერც ერთი ნამდვილი ამშენებელი ვერ იტყვის,—ახალი სახლი აშენდება, რადგან ძველი დანგრეულია, ან ინგრევა. ახლის ასაშენებლათ, ამას გარდა, საჭიროა ახალი მასალა, უმისოთ შეუძლებელია ერთი ნაბიჯის წინ წადგმაც.

თეორიიდან ჩვენ ვიცით, რომ სოციალიზმის საშენებლო მასალას იძლევა კაპიტალიზმი. მსოფლიო ომმა ამ მხრივ უკან დასწია კაცობრიობა. წინ წასასვლელათ საჭიროა საწარმოო ძალების ისეთი აყვავება, როგორიც იცოდა კაპიტალისტურმა ხანამ. კაუცკი სწერდა 1917 წელს,—მოსალოდნელია, რომ ომის შემდეგ კაპიტალიზმი ხელახლა აყვავდეს და მისი განვითარება გამოვიყენოთ სოციალისტ. შემოქმედებისათვის. ამ შესაძლებლობას [illegible] ზემოთ მოყვანილი რეზოლიუციაც. იქ ბუნდოვანათ გატარებულია ეს აზრიც.

რასაკვირველია, არ შეიძლება კაპიტალიზმის განვითარება ისე, რომ კაპიტალისტური კლასი წარმოების სათავეში არ იდგეს. კაპიტალიზმით შექმნილი საწარმოო ძალები ჩვენ უნდა ჩავაყენოთ ახალ ფარგლებში. სოციალიზმი საშუალებაა ამ ძალების უკეთესი წინმსვლელობის. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ ამართლებს ამ თეორიას თანამედროვე სინამდვილე. არ გვაქვს საკმაო მასალა, და ვერ ვიტყვით ვითარდება თუ არა წარმოება იქ სადაც მის სათავეში დგას ერობა ან ქალაქის თვითმართველობა ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულება. კერძო თაოსნობა უფრო უწყობს ხელს საწარმოო ძალების განვითარებას თუ ამისთანა თაოსნობის უარყოფა? არც ერთი ქვეყნის გამოცდილება არ გვაძლევს ჯერ ამ კითხვის გადასაჭრელ მასალას. რუსეთის გამოცდილება კი გვიმტკიცებს, რომ იქ კაპიტალიზმი უფრო პროგრესიული იქნებოდა, ვიდრე გამოდგა ბოლშევიკური სოციალიზმი.

ამ ნაწილში საზოგადოთ, ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია თეორეტიულია და ყოველდღიურ სინამდვილეს მოშორებული.

ეს დაშორება კიდევ უფრო აშკარათ ეტყობა რეზოლიუციის იმ მუხლში, რომელშიაც ის ეხება საბჭოთა რუსეთს. ის ამბობს, რომ ჩამორჩენილი ქვეყანა ადვილათ—წავა წინ სოციალიზმისაკენ, რაკი მოწინავე ქვეყნის მაგალითი ექნება თვალწინ. ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს,—დასავლეთი ევროპა საკმაოთ მომზადებულია სოციალიზმისთვის, იქ ტეხნიკაც არის ცოდნაც, კაპიტალიზმმაც იქ შექმნა საჭირო პირობები. ჩამორჩენილი ქვეყანა იხელმძღვანელებს მისი გამოცდილებით და თავის მოუმწიფებელ პირობებშიაც შეძლებს სოციალისტური საქმის კეთებას.

საბჭოთა რუსეთის და დასავლეთ ევროპის დღევანდელი სინამდვილე არღვევს ამ თეორიასაც. ევროპაში ჩვენ ჯერ ვერ ვხედავთ დიდ სოციალისტურ წარმოებას. რუსეთი არ ფიქრობს იქ მისაბაძავი მაგალითის ძებნას. ის ცდილობს პირიქით ევროპას სწავლებას, ჩვენ უნდა მოგვყვენ ევროპიელებიო,—ამბობენ საბჭოთა რუსეთის მესვეურები.

ცენტრალური კომიტეტი ატარებს ოპორტიუნისტულ პოლიტიკას ბოლშევიკურ მთავრობასთან. მისი აზრით შესაძლებელიც არის და საჭიროც ამ მთავრობასთან შეთანხმება. ის ფიქრობს, რომ ბოლშევიკური დიქტატურა შეიძლება სამერმისოთ ნამდვილ მუშათა კლასის დიქტატურად გადაიქცეს. ამისათვის ბოლშევიკებმა ჯერ უნდა დაიმარცხონ ყველა რეაქციონური ძალები, მერე მშრომელი ხალხი უფრო მოიცლის შინაური საქმეებისთვის და საბჭოთა მთავრობას გაიხდის თავისი ნების ამსრულებლათ.

ერთი სიტყვით ცენტრალური კომიტეტის შეხედულებით ბოლშევიკური მართვა გამგეობა ეს ერთ ერთი საფეხურია, რომელზედაც ფეხი უნდა მოვიდგათ მაღლა, სოციალიზმის კიბეზე ასასვლელად.

ეს მთავარი შეცდომა ახასიათებს რუსეთის მენშევიკური პარტიის პოლიტიკას. იგი არ უყურებს საბჭოთა მთავრობას, როგორც გარეშე ძალას, პრინციპიალურად სხვა გზით მიმავალს. დარწმუნებულია, რომ ემსახურება მუშათა კლასს. მის საქმიანობაში ის ხედავს მარტო შეცდომებს, არ მიაჩნია საჭიროდ მისი გაუქმება. იმედი აქვს მისი გამოსწორების.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ საბჭოთა პოლიტიკას ჩვენ ვერასოდეს და ვერას გზით ვერ გამოვიყენებთ წინმსვლელობის იარაღათ. შეუძლებლათ მიგვაჩნია მისი გამოსწორება. თავისთავათ, მშვიდობიანი გზით ბოლშევიკების მთავრობა ვერ გადაიქცევა მუშა-გლეხების მთავრობათ ის უნდა დამარცხდეს და ადგილი დაუთმოს იმ ერთ ძალას, რომელიც ობიექტიურათ მუშათა კლასის გამომხატველი იქნება.

დამარცხება არ მოხერხდება შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით, მეტადრე, როცა ამ საშუალებით სარგებლობენ ბურჟუაზიული წრეები სოციალდემოკრატიამ უნდა შექმნას ფართო მუშათა მოძრაობა ბოლშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ. ბრძოლის თაოსნობა უნდა იყოს მუშა-გლეხობის ხელში. დენიკინ-კოლჩაკ-ვრანგელების წინააღმდეგ „საბჭოთა“ მთავრობა. გამოდის მშრომელი ხალხის წარმომადგენლად. ეს საშუალება წაერთმევა სამოქალაქო ომის შემდეგ. მუშამ და გლეხმა უნდა დაინახოს, დაინახავს კიდეც, რომ დღევანდელი რუსეთის საშინელი მდგომარეობა გამოწვეულია არა მარტო მის საზღვრებზე მომდგარი მტრებისგან. თითონ ბოლშევიკური მთავრობა ქმნის ამნაირ მდგომარეობას და რეაქციონურ მტრებსაც ის უმზადებს ნიადაგს როცა ამას გაიგებს მშრომელი ხალხის უმრავლესობა, მაშინ დაეცემა ბოლშევიკური დიქტატურა. სოციალდემოკრატიამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ხალხის შეგნებას და გამოიყვანოს ის ბოლშევიკების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, აქ არ მოხერხდება არავითარი თანამშრომლობა ბურჟუაზიულ ძალებთან.

მუშათა კლასი მზათ უნდა იყოს აქტიური ბრძოლისთვის. კამისრების თვითმპყრობელობა ნებაყოფლობით არ დაუთმობს გზას. მოსალოდნელია და დასაშვებიც შეიარაღებული შეტაკება. მშრომელი ხალხი ვერ გაექცევა იარაღს და ძალდატანებას, თუ ეს საჭირო იქნება უმცირესობის ჩამოსაგდებათ და უმრავლესობის გასამეფებლათ.

დამოკიდებულება „საბჭოთა“ მთავრობასთან, აი ის კითხვა, რომელიც პრინციპიალური უფსკრულით აშორებს საქართველოს მენშევიკებს რუსეთის მენშევიკებისაგან.

ის, რასაც ვკითხულობთ ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში დიქტატურის და დემოკრატიის შესახებ, სავსებით მისაღებია ჩვენთვის. ჩვენც ასე გვესმოდა ყოველთვის ეს ორი ცნება. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მხოლოდ ერთ აზრს. მუშათა კლასის მთავრობას ნება აქვს ძალდატანებითი ზომები იხმაროს ხოლმე გარეშე კლასების და წრეების ასალაგმავათო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი ნება აქვს თითონ მუშათა წრეების ასალაგმავათაც, თუ ეს წრეები თავისი შეუგნებლობით ბურჟუაზიას ემსახურებიან. არის მარტო ერთი აუცილებელი პირობა, უმრავლესობის ძალდატანება მიუღებელია ჩვენთვის. ეს იარაღი მიმართული უნდა იყოს უმცირესობის წინააღმდეგ. სულ ერთია მუშათა კლასისგან იქნება თუ ბურჟუაზიისგან ეს უმცირესობა. თუ სოციალისტურ მთავრობას ძალდატანებითი ზომები სჭირდება უმრავლესობის წინააღმდეგ, მაშინ უნიადაგოა მისი არსებობა, და ხელოვნურათ ვერაფერს გახდება, როგორც ვერაფერს გახდა აქამდის ბოლშევიკური მთავრობა რუსეთში. მარტო ძალდატანებით შეიძლება პოლიტიკურ პარტიებთან და ჯგუფებთან ბრძოლა, მაგრამ შეუძლებელია ეკონომიური სინამდვილის გარდაქმნა.

ს. დევდარიანი.

ისპანიაში	„	„	—1 ფრ.
საფრანგეთში	„	„	—1,30 ფრ.
იტალიაში	„	„	—1 ფრ.
პორტუგალ.	„	„	1 ხარ. 1,30 ფრ.
	„	„	2 ხარ. 0,50 ფრ.
შვეიცარიაში	„	„	—0,70 ფრ.
გერმანიაში	„	„	—3,75 ფრ.

(იხ. le Bull. des H. B. et M. № 177).

ამ ცხრილიდან თვალსაჩინოა ის მოვლენა, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოებში პური იმდენივე ღირს, რამდენიც ომისაგან დაღლილ სახელმწიფოებში, ამ შემთხვევაში გერმანია შეადგენს ცოტაოდენ გამონაკლისს, მაგრამ ხომ ვიცით რა პირობებშია ამ ჟამად იგი, თუმცა და ჩვენშიაც რომ ისე „ძვირი“ იყოს პური, როგორც გერმანიაშია, 80 კაპ.—1 მან. არ აღემატებოდა გირვანქის ფასი.

ხილ. აბულაძე.

რკინის გზაზე

ხშირათ იწერებოდა გაზეთების ფურცლებზე რკინის გზის მოსამსახურეებს და მგზავრებთა შორის მომხდარ ინციდენტების შესახებ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში თუ გადავხედავთ რკინის გზას, ვიტყვით, რომ შედარებით წარსულთან სამოთხეა, მოსამსახურეები მგზავრებს ზრდილობიანათ ეპყრობიან და თუ დღეს ამ პირობებშია რკინის გზა, ეს შეგვიძლია მივაწეროთ რკინის გზის შეგნებულ დემოკრატიას და მის მმართველ ორგანოს ენერგიულ მუშაობას, რომელთა წყალობით გაიწმინდა რკინის გზა ისეთ მოსამსახურეებისაგან, რომლებიც ჩირქს სცხებდნენ რკინის გზის დემოკრატიას, თავიანთი უზნეო ყოფა-ქცევით და საქმის უცოდინარობით. მაგრამ საუბედუროთ რკინის გზაზე კიდევ დარჩენილა ისეთი მოსამსახურე, რომელმაც არ იცის რკინის გზის წესდება. დარჩენილა და ისიც საპასუხო-მგებლო ადგილზე, როგორიც არის სალაროში მუშაობა.

საქმე შემდეგშია: მე და ჩემი ერთი ამხანაგი ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობის გამო ვიყავით გაგზავნილი პროვინციაში. როგორც სამხედრო პირებს გვქონდა ლიტერი ორი კაცის, რომელშიაც იყო აღნიშნული ერთი მე-2-რე კლასი და ერთი მე 3-მე. მაგრამ როდესაც პროვინციიდან უკან ვბრუნდებოდით, ტეხნიკურ მიზეზების გამო იძულებული შევიქენით მოვსულიყავით სადგურ ყვირილის მორიგესთან და შევკითხოდით, გვქონდა თუ არა ჩვენ უფლება ფულის დამატების შემდეგ მე 3 მე კლასის მაგიერათ მეორე ამხანაგიც წასულიყო მე 2-რე კლასით.

ჩვენს შეკითხვის შემდეგ ზემოხსენებულ სადგურის მორიგემ გვიპასუხა: სრული უფლება გაქვთო.

ამ დროს ჩამოდგა სად. ყვირილაში ღამის 2 საათზე ქუთაისიდან მომავალი მატარებელი № 12. ჩვენც მოვემზადეთ წამოსასვლელათ, მივედით სადგურის მოლარესთან, წარუდგინეთ ლიტერი და ვსთხოვეთ, რათა ზედმეტი ფულის გადახდით ლიტერში აღნიშნულ მე-3-მე კლასის მაგიერათ გავეშვით მე-2 რე კლასით.

მოლარემ გვიპასუხა: ამის უფლება მე არა მაქვსო, და მიზეზათ ასახელებდა მას, რომ ეს არის სამხედრო ლიტერი, რომლის ძალითაც მეორე კლასით უნდა წავიდეს აფიცერი, ხოლო მესამე კლასით გვარდიელები და ჯარის კაცებიო. ჩემმა ამხანაგმა გვარდიის აფიცერმა განუმარტა ბ-ნ მოლარეს, რომ უფლება ჰქონდა დაბალი ხარისხის ჯ. კაციც წასულიყო მეორე კლასით ფულის დამატების შემდეგ, მაგრამ ჩვენი ლაპარაკი და უნდა ითქვას სადგურის მორიგის გაფრთხილება, რათა მოლარეს მიეცა ჩვენთვის ლიტერში აღნიშნულ მესამე კლასზე დამატებითი ბილეთი მეორე კლასისათვის, დარჩა უშედეგოთ. ბ-ნი მოლარე მაინც თავისას გაიძახოდა: არ მაქვს უფლებაო. რის შემდეგაც მე იძულებული შევიქენი გამეუქმებია ლიტერში აღნიშნული მესამე კლასით მგზავრობა, ამეღო ლიტერს გარეშე მეორე კლასის ბილეთი და წამოვსულიყავი. ასე, რომ ლიტერა ერთი კაცისთვის გამოუსადეგარი დარჩა. შემდეგ როდესაც მატარებელი გამოვიდა სად. ყვირილიდან, ჩამოიარა კონტროლიორმაც, ვაჩვენეთ სხვათა შორის ლიტერი და აუხსენით საქმის მდგომარეობა, რომელმაც, როგორც სადგურის მორიგემ ისე განაცხადა: არავითარი უფლება არ ჰქონდა მოლარეს, თუ კი ამას თქვენ მოითხოვდით არ აეღო მესამე კლასის ზედმეტათ ფული და არ გამოეშვით მეორე კლასით (თუმცაღა ეს ჩვენც ვიცოდით) ყოველივე ასეთი მოვლენის შემდეგ იმედია ის ორგანო, რომელიც განაგებს ს. ს. რ. გზას, მეტი ყურადღებით მოეკიდება ასეთ მოლარეებს და ხშირათ გამართავენ მათთან საუბარს და აუხსნიან მას დაკისრებულ მოვალეობას როგორ უნდა ასრულებდეს.

გვარდიელი ე. ბროკიშვილი.

პროფესიონალურ კავშირებში

ბეჭდვითი საქმის კავშირში.

ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ 22 სექტემბრის სხდომაზე განიხილა რა გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობასა და აღნიშნულ გაზეთის ასოთ-ამწყობთა შორის მომხდარი კონფლიქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 20 სექტემბერს, დაადგინა: 1) გამგეობა სასტიკად ჰგმობს იმ ოთხ ასოთ-ამწყობის მოქმედებას, რომლებმაც სრულიად უმიზეზოთ მიატოვეს სამუშაო და საქმის დროს სასაუზმოთ წავიდნენ. გამგეობა სთვლის რა ასეთ თავაშვებულებას და უპასუხისმგებლობას დეზორგანიზატორულ ნაბიჯათ და კავშირის ავტორიტეტის გატეხათ, იგი აცხადებს, რომ ყველა ასეთ მოვლენების წინაამდეგ სასტიკად გაილაშქრებს; 2) გამგეობა სთვლის რა აღნიშნულ მუშებს დამნაშავეთ, იგი ადგენს: იმ ოთხ მუშას, რომლებიც მუშაობის დროს სასაუზმოდ წავიდნენ და სამუშაოზე აღარ დაბრუნდნენ, არ მიეცეთ გაცდენილი დღეების (20 და 22 სექტემბრისა), ხოლო დანარჩენთ 22 სექტემბრისა; 3) აღნიშნულ დადგენილების მიღების მეორე დღესვე მუშები უნდა სასწრაფოდ შეუდგნენ მუშაობას; 4) ვინაიდან აღნიშნულ სტამბაში არ ყოფილა სათანადოთ მოწყობილი ტეხნიკური მხარე, ამიტომ არჩეულ იქნას კომისია, რომელსაც ევალება სასწრაფოდ გამოარკვიოს ტეხნიკური პირობები. კომისიაში არჩეულ იქნა: დობორჯგინიძე, ტოროტაძე, ხარაზიანი.

ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფ. კავშირის გამგეობამ შემდეგი მიმართვა გაუგზავნა „ცეკავშირი“-ს სტამბის გამგეს, ასლი შრომის კომისარს და ადგილობრივ ავტონომიურ კომისიას:

„ჯერ კიდევ გასულ წელს თქვენდამი რწმუნებულ სტამბის მუშებმა სტამბის ადმინისტრაციის წინაშე აღძრეს საკითხი შესაფერ ბინის მოძებნის შესახებ, ვინაიდან ის შენობა, რომელიც მათ ეხლა უკავიათ სივიწროვისა და სინესტის გამო ვერ აკმაყოფილებს მუშებს, ვერც ჰიგიენური და ვერც სანიტარული მხრივ. ამ გარემოებას მიექცა ყურადღება შრომის კომისარისა და საერთო საქალაქო კასის ექიმი კონტროლიორის ყურადღება, რომელთაც მოითხოვეს შესაფერი ბინის მოძებნა ან შენობის ძირითადი შეკეთება, რომ მოშორებული ყოფილიყო აღნიშნული დეფექტები. მიუხედავათ ამისა სტამბის ადმინისტრაციას ამ მხრივ არავითარი ზომა არ მიუღია. კიდევ მეტი, კავშირის გამგეობის მიმართვაზე ჯერ კიდევ ივლისში, სადაც გამგეობა მოითხოვდა თქვენგან რამე გარკვეულ პასუხს, არავითარი პასუხი არ ყოფილა. სტამბის ადმინისტრაციის ასეთი დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ადმინისტრაცია საჭიროდ არ სთვლის გამოეხმაუროს მუშათა და კავშირის კანონიერ მოთხოვნილებებს. კავშირის გამგეობას არ შეუძლია მისდამი ასეთ დამოკიდებულების მოთმენა და კატეგორიულად მოითხოვს ერთი კვირის ვადაში აცნობოს მას თუ რა ზომებია თქვენ მიერ მიღებული ამ მხრივ“.

ს.-დ. პარტიაში

ტფილისი. 23 სექტემბერს შესდგა ს. სოც. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა კრების ოქმი. მცირე კოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტიული მუშაობა ქვეკოლექტივებში ჩვეულებრივათ მიმდინარეობს. მიენდო პრეზიდიუმს, თუ საჭიროთ დაინახავს, საზოგადო კრება მოიწვიოს, რაც წინასწარ აცნობოს კოლექტივს. კოლექტივმა განიხილა ჩუღურეთის მცირე კოლექტივის ოქმი ამავე მც. კოლ. ხაზინადარ შ. ბაზირაშვილის ბოროტ-მოქმედების შესახებ, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ხსენებული ბაზირაშვილი მცირე კოლექტივში სხვადასხვა პირებისა თუ დაწესებულებებისაგან შემოსულ შემოწირულების თანხის ნაწილს ისაკუთრებდა და საბუთებში სწორად არ ატარებდა. კოლექტივმა წესდების მე-17 ტე მუხლის ძალით დაადგინა, გამოირიცხოს შ. ბაზირაშვილი პარტიიდან.

კოლექტივმა აგრეთვე დაადგინა: იმ პირებმა და ორგანიზაციებმა, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შესძლეს კოლექ. ვალების გასწორება, მათივე თხოვნის თანახმად ამოიწეროს მათი ანგარიშების კრედიტიდან ყველა ვალები.

გაზეთ „ერთობისა“ და „ბარბის“ რედაქციებს ეთხოვოს სისტემატიურათ გზავნონ ბიუროში გაზეთის ყველა ნომრები. კოლექტივმა აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა მიიღოს ზომები, ბიუროს ბინის მოსაწყობათ და შესაკეთებლათ.

დროშის შემქმნი კომისიის წევრი აცნობს კრებას, რომ ამ დღეებში კომისია წარმოუდგენს კოლექტივს—დროშას შესაფერი წარწერით, ვინაიდან კოლექტივს საშუალება არ აქვს წელს კერძოთ ბიუროსათვის შეიძინოს, კოლექტ. ადგენს, ეთხოვოს ტფილისის კომიტეტს, კოლექტივისათვისაც შეიძინოს შესაფერი ხელსაყრელ ფასებში.

თედ. ხუხუნაიშვილი.

ქ. სამტრედია. 6-ს აგვისტოს ამა წლისა შესდგა ქ სამტრედიის ს. დ. კოლექტივის მორიგი სხდომა. დაესწრო 22 წევრი. თავმჯდომარეობდა ამხ. ა. ასკურავა, გაირჩა ორი კითხვა: 1) რვა საათის სამუშაო დღის დაცვა და გატარება ყველა დარგის მუშებში. ამ კითხვაზედ კოლექტივმა დაადგინა, გატარებულ იქნას 8 საათის სამუშაო დღე ყველა დარგის დაქირავებულ მუშებში. ასლი ამა დადგენილებისა ეგზავნება სამტრედიისავე რაიონის ს. დ. კომიტეტს, რომლის საშუალებით უნდა გაგზავნილ იქნას ს. რ. ს. დ. ცენტრალურ კომიტეტში. მე-2 კითხვა. ლიანდაგის მუშების ქვე-კოლექტივის ტეხნიკურად მოწყობის საქმე. კოლექტივმა დაადგინა არჩეულ იქნას კოლექტივის მიერ სპეციალურად ამ საქმისათვის სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელიც მოაგვარებს ლიანდაგის მუშების ქვე-კოლექტივის საქმეს და მოახსენებს კოლექტივს მომავალ მორიგ სხდომაზე.

კომისიაში არჩეულ იქნენ ნ. ფრანგიშვილი, ო. წულაია, კ. ჩიჩუა. დანარჩენი კითხვები გადაიდო მომავალ მორიგ სხდომისთვის.

მდივანი გ. შენგელაია.

მუშათა შორის

ავლაბრის მუშათა კლუბი.

20 სექტემბერს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა, ამხ. იოს. ხუციშვილის თავმჯდომარეობით.

სხდომამ განიხილა მოქალაქე მამათავრიშვილის განცხადება კლუბის ნივთების აწერისა და შენობის ქირის მომატების შესახებ. ამ განცხადებასა გამო გამგეობამ იქონია მსჯელობა და გადაწყვიტა: აიწეროს მთელი ნივთები მუშათა კლუბისა, მოხდეს სიის შედგენა. ქირის მომატების შესახებ გამგეობამ აირჩია კომისია სამი კაცისაგან, რომელთაც ევალებათ გამოარკვიონ ქირის მინიმუმი და იმ ავეჯეულობის შეფასებაც მოხდეს, რაც საჭირო არის ავლაბრის მუშათა კლუბის თეატრისთვის. კოსტიუმების ქირის აუტანელი სიძვირისა გამო გამგეობამ დაადგინა. ვინაიდან კოსტიუმებით ღარიბი არის მუშათა კლუბიდა თითეულ პიესის დადგმაზე აურიებელი ქირა მიაქვთ კოსტიუმების პატრონთ, ამიტომ საჭირო არის კოსტიუმების საკითხი გადაწყდეს ყველა მუშათა კლუბების წარმომადგენლებთან ერთად, რაიცა ახლო მომავალში იქნეს მოწვეული, სადაც გამომუშავებულ იქნეს ზომები, რათა კოსტიუმების ქირას დაედოს ნიხრი.

მუშათა კლუბის შტატში მოსამსახურეთათვის გამგეობამ გადაწყვიტა შეიტანოს მუშათა მაგიდაში ხვედრი ფული, რომ სამ მოსამსახურეს მუშათა კლუბისას საშუალება მიეცეთ იაფი პურის მიღებისა.

ამხ. სარ. ამბარცუმოვის განცხადება მუშათა კლუბის ბუფეტის შესახებ, რომ საქმის უკეთესად მოწყობისთვის საჭირო არის ზედ-მეტი თანხა, გამგეობამ დააკმაყოფილა და დაავალა მას უკეთ მოაწყოს ბუფეტის საქმე. ბუფეტში მომუშავეთ მიეცემათ შემოსავლიდან 30 პროცენტი, პასუხის მგებელ გამგეს 20 პროც. მეორე გამგეს 10 პროც.

გამგეობამ მიიღო წინადადება ამხ. სხულუხიასი, აღძრულ იქნეს ქალაქის თვითმართველობაში საკითხი გადმოცემულ იქნეს ავლაბრის სინემატოგრაფიულ თეატრ „უნიკაში“ ჰქადაობა, რომელსაც მეტად ცუდი გავლენა აქვს მაყურებლებზე.

ვერხვი.

განახლებულ ლითონზე მომუშავეთა პროფ. კავშირში.

21 სექტემბერს შესდგა ზემოხსენებულ კავშირის გამგეობის სხდომა ლ. მამალაძის თავჯდომარეობით, ო. ლაცაბიძის მდივნობით.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: საურთიერთო დამხმარე კასის დაარსება კავშირში, კონფლიქტის მოგვარება სამხედრო საწყობის ადმინისტრაციის და მუშების შორის და მიმდინარე კითხვები: პირველ კითხვის შესახებ დაადგინეს: გამართონ საღამო-წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება მთლად ზემოხსენებულ დამხმარე კასისათვის. მეორე კითხვის შესახებ დადგენილ იქნა ეთხოვოს სეკრეტარიატს, რომ დაწყებული საქმე მალე დაამთავროს.

მესამე კითხვა. რადგანაც ბორჯომიდან ამხანაგები ითხოვენ განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის განყოფილების დაარსებას, ამიტომ გაიგზავნოს ო. ლაცაბიძე საქმის მოსაგვარებლად.

ო. მაზოშვილი.

პროვინცია

საპაიჯ ოს თემი. 1920 წ. 20 სექტ. შესდგა საპაიჯოს თემის საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ იქნა არჩეული მ. გიორგაძე. მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. ფილიპე ლორიამ, დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის მუშაობის შესახებ. კრებამ მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების და მთავრობის მუშაობაზე, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1. კრება იწონებს რა დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობას საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, აღუთქვამს მათ ყოველივე დახმარებას საქართველოს მშვიდობიანი ცხოვრების განსამტკიცებლათ. 2. აგრეთვე ერთხმად აღუთქვამს მას, რომ ის ყოველთვის მზად იქნება დაეხმაროს მთავრობას იმ ელემენტების წინაამდეგ ბრძოლაში, რომელნიც მოისურვებენ თავიანთი მოქმედებით დაარღვიოს მშვიდობიანი ცხოვრება და ხელი შეუშალოს აღმშენებლობით მუშაობაში დემოკრატიულ მთავრობას, როგორიც უნდა იყოს ის შიგნიდან თუ გარედან საქართველოს წინაამდეგ მიმართული. 3. კრება საჭიროდ სცნობს, რომ ასეთი მოხსენებები ხშირ-ხშირად იმართებოდეს განაპირა თემებში. რომ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომლითაც თავიდან აცილებული იქნება ყოველივე ისეთი გაუგებრობა, როგორიც ხდება განაპირა თემებში.

X.

გურჯაანი. ხუთშაბათს, 16 სექტემბერს, ადგილობრივი ფოსტის მოხელის გიორგი გუჯაბიძეს თავის საწოლ ოთახიდან მოჰპარეს ტანისამოსი. გუჯაბიძემ შეიტყო თუ არა ეს, გამოვარდა ქუჩაში და დაიწყო ყვირილ ტირილი, უცბად აქ გაჩნდა გურჯაანის რაიონის კომისარი, რომელმაც წაიყვანა გუჯაბიძე და დაუკითხავათ იქვე დაატუსაღა. იმავე დღეს ღამის ორ საათზე გამოუძახია გუჯაბიძესათვის და უთქვამს: როგორ ბედავ შენ ქუჩაში ყვირილს და ტირილს, ან როგორ აბრალებ ქურდობას იმისთანა კაცს, რომელსაც მე ვიცნობო, რის შემდეგ მათრახით უცემია, თან რევოლვერი დაურტყამს თავზე. მე ჩემი თვალით ვნახე, მათრახის ცემისაგან გვერდებზე სულ ტყავი ჰქონდა გადამძვრალი, რის მოწმობაც ექიმისაგან ხელთა აქვს.

საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს და ასეთი მოვლენებს ადგილი არ ჰქონდეს. კომისარი—ეს არის მამა ხალხისა, მას ბევრი მოვალეობა აქვს დაკისრებული. მან უნდა გაარჩიოს მართალი და მტყუანი, მან უნდა დასაჯოს მტყუანს თავისი მსჯავრი, როგორც რიგი და წესი მოითხოვს და არა ცემა-ტყეპით, მუშტი-კრივით და ლანძღვა-გინებით-უპასუხისმგებლობის ხალხს.

ძველი მედგარი.

ხად. ჯუმათი (გურია). აქ ბოლო ხანებში ქურდობა ძლიერ გახშირდა. დაიკარგა ცხენები, გაქურდეს ადგილობრივი კოოპერატივი. უკანასკნელ დროს გაქურდეს ადგილობრივ მოვაჭრე ქ. ანთაძის სავაჭრო სახლი, საიდანაც ბოროტ განზრახველებს წაუღიათ დიდძალი სამანუფაქტურო საქონელი. მიღებულ იქნა ადმინისტრაციის მიერ სასწრაფო ზომები, მოწვეულ იქნა კრება, სადაც აირჩიეს კომისია და შეუდგნენ ბოროტგამზრახველების აღმოჩენას. მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს. რაც უნდა მიეწეროს ხალხის გულ გრილობა ავაზაკების აღმოჩენის საქმეში. საჭიროა უფრო ენერგიული ზომების მიღება ნაძირალების ძირ-ფესვიან აღმოსაფხვრელად. თორემ მომავალში კიდევ მეტს უნდა ველოდეთ გათამამებულ ნაძირალებისაგან.

ადგილობრივი სამკითხველო უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება, გაზეთები ხშირად არაა და თუ არის, ისიც ძველი. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

საერთოდ ამ ახლო მახლო რაიონებში სიმინდის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს.

„ღრიკული“.

ხოფ. საწირე. (ტყიბულის რაიონი) ეს სოფელი მდებარეობს 30 ვერსის მანძილზე ქუთაისიდან აღმოსავლეთით. განთქმულია თავისი კარგი ჰავით. აქ ყოველ ზაფხულობით მოაგარაკენი ამოდიან სხვა და სხვა ადგილებიდან. შუა სოფელში რკ. გზა გადის რითაც მოაგარაკეთ უადვილდებათ აქ ამოსვლა. სანოვაგით ეს სოფელი ძალიან ღარიბია მისი მაღალი მდებარეობის გამო, მაგრამ რკინის გზით იოლია სურსათ სანოვაგის მოტანა. კულტურულათ საწირის თემი დღემდი ჩამორჩენილი იყო, მაგრამ ეხლა კი ის თანდათან დაადგა განათლების გზას და მალე მთელ თემში საყოველთაო სავალდებულო სწავლა განხორციელებული იქნება. აქ არსებობს 1 დაბალი სკოლა, უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი და უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

ყველა ამ კულტურულ დაწესებულებათა დაარსება მოწყობაში დიდი შრომა მიუძღვის საწირის სადგურის უფროსს ვ. ლექვინაძეს. ის მუდამ ცდილობდა ხალხის საკეთილდღეოთ ემუშავნა და ამისთვის არ ზოგავდა თავის ენერგიას. როგორც გავიგეთ რკინის გზის ადმინისტრაციას ლექვინაძე გადაჰყავს სხვა ადგილზე, რაც დიდათ სამწუხაროა ჩვენი უბნისათვის.

მცოდნე.

რაჭა. რაჭის გზებზე ძალზე გახშირებულია ძარცვა გლეჯა. 16 ენკენისთვეს ჩემი ცოლი და გიმნაზიელი ვაჟი სადგურ სახერეიდან გავამგზავრე ქვეითად დღე ნახევრის სავალზე—სოფელ ბარში იქ მყოფ ჩემი ორი დაავადმყოფებული შვილების ჩამოსაყვანათ. სოფელ მოხვიდან ოთხიოდე ვერსის მანძილზე ბარისკენ მიმავალ გზაზე მათთვის წაურთმევიათ ჩემი სამი შვილის და ცოლის ფეხსაცმელ-ტანსაცმელი, სამგზავრო მონასესხები ორასი თუმანი ფული და ფეხშიშველები გაუშვიათ.

ეს არ არის პირველი შემთხვევა. გარდა „სახალხო საქმის“ № 934-ში მოხსენებულ ამბებისა, ენკენისთვის პირველ რიცხვებში იმავე ალაგას სოფელ ბარიდან მომავალ სპირიდონ მაგრაქველიძისთვის წაურთმევიათ ოთხასი თუმანი ფული და გაუხდიათ ტუჟურკა. მაგდანა გელიძისთვის წაუძრიათ ხელიდან ბეჭდები და წაურთმევიათ ხურჯინი ტანსაცმელ-ფეხსაცმელებით და სამოცი თუმანი ფულათ. ადგილობრივი ადმინისტრაცია რაჭის მაზრის და აგრეთვე შორაპნისა, რომელთა უმთავრეს საზრუნავსაც უნდა შეადგენდეს ქალაქსა და სოფელ შორის გზებზე მოგზაურობის უზრუნველყოფა—ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამას. იმედია, მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ სამწუხარო მოვლენას და მით უზრუნველყოფს რაჭის გზებზე მშვიდობიან მიმოსვლას.

რკინის გზის მემანქანე გერონტი ჩლაიძე.

წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში შემდეგს:

„ახალ კომუნისტის“ № 49-ში მოთავსებულია ლია წერილი ბ. ყოფილ „ახალ კომუნისტის რედაქტორის“ დ. ჯორბენაძის, რომელიც ჩემ მიერ გაზეთ „ერთობის“ № 213 მოთავსებულ წერილს აბდა-უბდას უწოდებს და არც სცნობს საჭიროთ გასცეს გაზეთის ფურცლებზე სათანადო პასუხი, მხოლოდ წინადადებას მძლევს გამოვყვე სამედიატორო სასამართლოში. მე სიამოვნებით ვეგებები მის წინადადებას ცოტა შესწორებით. საქმე უნდა გაირჩეს იქ, სადაც ის შანტაჟს აწყობდა და არა „კომუნისტების“ რედაქციაში. ჩემის მხრით მედიატორეთ ვასახელებ სამაზრო ერობის გამგეობის წევრს პროკოფი მ. დოლიძეს.

შტაბის წევრი ი. ჯორჩხენაძე.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ განცხადებას დაუთმოთ ადგილი გაზეთ „ერთობაში“.

გაზეთ „გრუზია“-ს რედაქციის საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ 1920 წლის 12 სექტემბრის № 116 გაზეთ „გრუზია“-ში მოთავსებულია ყალბი ცნობა მანგლისის სათემო ერობაში ბოროტმოქმედების შესახებ. ცნობები, რომლებიც მოჰყავს ავტორს, სავსებით არ ეთანხმება სიმართლეს, არავითარ ბოროტმოქმედებას მანგლისის სათემო ერობის გამგეობაში ადგილი არ ჰქონია და არც გამგეობა პასუხისგებაში მიეცათ. ხმოსანთა ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომ რადგანაც სასურსათო საწყობის გამგე კოსტა თეილი, გამგეობის ნებადაურთველად თფილისიდან, სადაც ის იყო გაგზავნილი გამგეობის დავალებით, ბაქოში წავიდა, აღარ დაბრუნდა და არც არავითარი ცნობა არ გამოგზავნა, მაზედ დარჩენილი ანგარიშები გადაბდეს მთელს გამგეობას, რადგანაც თეილი იყო მიღებული სამსახურში გამგეობის დადგენილებით გამგეობას არავითარი თანხები არ დაჰკლებია. თუ გაზეთი „გრუზია“ ყალბ ცნობებს არ გააბათილებს, მე იძულებული ვიქნები რედაქციას ყალბი ცნობების გავრცელებისათვის კანონიერი პასუხი მოვსთხოვო.

ყოფილი მანგლისის სათემო ერობის გამგეობის თავმჯდომარე დ. შარაშენიძე.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

მე 6 ვაჟების გიმნაზიის მასწავლებელი იყვანს

მოსამზადებლათ

ოჯახში სრული პანსიონით პირველი კლასისთვის ორ მოწაფეს. პასტეროვის ქ. № 8, ბინა 2. ტელეფონი 16—05. (3143 2—1)

დილის და საღამოს მოსამზ. ჯგუფებს

მე 2, 3 4, 5, 6, კლასის

მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ვადგენ. პლეხანოვის ქ. 25 (კუთხე ალექსის ქ. 5) ჩაწერა 9—11 ს. 2—5 ს. ფასი 2500—3500 მ. თვეში. (3132—3—2)

100,000 მანეთი ჯილდო

იმას, ვინც მიშოვნის 3—6 ოთახიდის. შემიძლია ვიყიდო საჭვალო სახლი. იკითხეთ ჩერქეზიშვილის ქ. 59 საკოვი დილის 9 ს. საღამოს 8 ს. ტელეფონი 8—26 ოთხზე 3½—4½ ს. საღამოთი. (3136—3—2)

ექიმი

პ. ტყეშელაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7½ საათ. მიხეილის სავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

დაბრუნდა და განახლა სიფილისით (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანით სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათ. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, № 72 ალექსანდროვის სავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი

ნადეჟდა ისაკის ას. პოლო[illegible]

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—53 (11—ოქტ.)

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (სავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი

ქსენია ისაკის ას. პოლო[illegible]

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს, საღ. 4—7. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (11—ოქტ.)

ექიმი

ლ. ვ. დიმენტი.

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად შინაგან და ქალის ავათმყ. დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ. 11—51. (11—ოქტ.

დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვის და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 [illegible] 6—8 საათამდე. 11 ოქტ.

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, (1—ოქტ.)

ექიმი **გ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი, ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქ. № 33. (21 ნოე.)

ექიმი

გ. გ. რამენდიკი

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნალი შინაგან ბავშვების და სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი—5—42 (2—ოქტ.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ოქტ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (1 ოქტ.)

ექიმი

შ. ა. მიქელაძე

დაბრუნდა და განაახლა შინაგანი და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 113. ტელეფ. 8—16. 3072—5—5)

ქალებისათვის და ვაჟებისათვის

ვამზადებ

ბავშვებს 1, 2, 3, 4 კლას. შესასვლელად. გიმნაზიაში და უმაღლ. დაწყებ. სასწავლ. ჩაწერა 9—12 ს. მეცადინეობა დილით. ბინა ი. მაჩაიძისა. პლეხანოვის ქ. 25 (ალექსის ქუჩის კუთხე). (3103—5—4)

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს საბეჭო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

განახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გეპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკუმოვი

გადავიდა კიროჩნი ქუჩიდან მიხეილის პრ. № 28 ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული ავათმყ. (გამწვავებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606“ და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (7—ოქტ.)

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმი

ე. მ. მქინარიშვილისა

შეშხაპუნება „606“ და „914“. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კიროჩის (კიროჩნი) ქუჩ. № 29. ტელეფ. 10—87. (1-ოქტ.)

ექიმი

ი. ა. ლომოური

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით [illegible] დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

ექიმი

ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 22, სოლოლაკი

[illegible] სტამბა, გრიბოედოვის ქუჩა №4.